პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

№ 170 (20511) ◆ სამშაბათი, 25 ივლისი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ

ცენტრალურ ტელევიზიას 1989 წლის 23 ივლისს

კორესპონდენტი: მიხეილ სერგის ძევ, დღეს გვინდა დაგისვათ ერთი კითხვა, რომელიც ყველა საბჭოთა ადამიანს აწუხებს. როგორია ახლა ვითარება ქვეყნის ქვანახშირის რეგიონების შახტებში?

მ. ს. გორბაჩოვი: გეთანხმებით, რომ ეს კითხვა აწუხებს ყველა საბჭოთა ადამიანს. და არც შეიძლება არ აწუხებდეს: აქ ხომ ლაპარაკია მეტად სერიოზულ ამბავზე, რომელიც ეხება ხალხს და პირდაპირ არის დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ მიდის ჩვენში გარდაქმნის საქმე. ჩვენ ძნელი დღეები გადავიტანეთ. ძნელი, მშფოთვარე, იქნებ, დრამატულიც კი. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვითარება გავამწვავო. რეალურად ვაფასებ იმას, რაც ხდება. ახლა არ შევეხები მიზეზებს, რომლებიც საფუძვლად უძევს სიტუაციის გამწვავებას, და რომლებსაც მოჰყვა მეშახტეთა გაფიცვები ქვეყნის ქვანახშირის აუზებში. ამას მოგვიანებით შევეხები.

უბრალოდ უნდა ვთქვა, რომ, ეს სიტუაცია რომ განვითარებულიყო, უწინარეს ყოვლისა, დროის თვალსაზრისით, ასეთი დაძაბულობა რომ შენარჩუნებულიყო, თანაც სხვა დარგების შრომითი კოლექტივებიც რომ შეერთებოდნენ, საფრთხე შეექმნებოდა ძალიან ბევრ რამეს. ამიტომ მესმის თქვენი კითხვაც, რომელიც ნაკარნახევია იმით, რომ ადამიანებს სურთ იცოდნენ, მაინც, რა ხდება სინამდვილეში. როგორია ახლა ვითარება.

უწინარეს ყოვლისა, ვიტყვი, რომ მთელი ამ დღეების განმავლობაში ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მთავრობა, ყველა უწყება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ქვანახშირის მოპოვებასთან, ძალიან საფუძვლიანად მუშაობდნენ. ჩვენ იძულებულნი ვიყავით სადღეღამისო ცოცხალი კავშირი გვქონოდა ამ რეგიონებთან, რათა დაგვემუშავებინა კონკრეტული საკითხები, გაგვეთვალისწინებინა გაფიცვების შედეგად შექმნილი სიტუაცია. ქვანახშირის მოპოვების ყველა ცენტრში გავგზავნეთ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წარმომადგენლები. საკითხთა მთელი კომპლექსის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მთელი უმაღლესი საბჭო. ერთი სიტყვით, ყველანი ამით ვიყავით დასაქმებული. ვფიქრობ, ეს გასაგებია. როგორც უკვე ვთქვი, საკითხი მეტად სერიოზულია.

საბოლოო ანგარიშით ამ ერთობლივმა მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა განგვეხილა საკითხთა მთელი კომპლექსი, მიგვეღწია შესაბამისი მორიგებებისათვის. ამასთან, მუშაობა წარმოებდა კარგ ატმოსფეროში — მეშახტეთა მხრივ მომთხოვნ, მაგრამ კარგ კონსტრუქციულ ატმოსფეროში, რეალისტურ ატმოსფეროში. ესეც, უნდა აღინიშნოს, ფრიად მნიშვნელოვანია.

კორესპონდენტი: და შედეგებიც მოიტანა...

მ. ს. გორბაჩოვი: დიახ, ატმოსფერო რეალისტური იყო. და ამ სიტყვაზე შევჩერდები, რადგან ადამიანებს ესმით, რომ ყველა ჩვენი რესურსი ამოქმედებულია, დამატებითი შესაძლებლობანი არა გვაქვს. რაც მთავარია, ძირითადი საკითხების გადაწყვეტას ადამიანები უკავშირებენ უბრალოდ სიტუაციის შეცვლას, ეკონომიკური რეფორმის განვითარებას, მეურნეობრიობის მეთოდების შეცვლას, რათა ყოველივე ამან ინიციატივიანი მუშაობის შესაძლებლობანი დასახოს, საშუალება მოგვცეს გავიდეთ შრომის ნაყოფიერების ახალ დონეზე, მივიღოთ სხვაგვარი შედეგები, მეტი შემოსავალი, თანაც ისე გამოვიყენოთ, რომ დაძაბულობა აღარ იყოს.

რასაკვირველია, მეშახტეებს ბევრი საკითხი დაუგროვდათ, რომლებიც უნდა გადაწყვეტილიყო, და გადაწყვეტილიყო დაუყოვნებლივ. საქმე ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ ეხება შრომის პირობებს. ეს ყველაფერი განხილულია. არსებითად, უკვე ყველგან შეადგინეს ოქმები, მომზადებულია დოკუმენტები თანხმობის საფუძველზე. ეს დოკუმენტები ერთობლივი მეცადინეობის შედეგია. ისინი ასახავენ ჩვენს დღევანდელ შესაძლებლობებს და სიტუაციის გაგებას როგორც ცენტრის, ისე თვით მეშახტეთა მხრივ. ასე რომ, მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი განვლილია. განვლილია იგი, როგორც უკვე ვთქვი, დიდი თანამშრომლობისა და გაგების სულისკვეთებით. ამას ვაფასებთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანები ამ რთულ ვითარებაში მეტად პასუხისმგებლურად, აწონ-დაწონილად იქცეოდნენ. მათ არ მისცეს შესაძლებლობა, რომ ამ დაძაბულ სიტუაციით ვინმეს სხვა, საძრახისი მიზნებით ესარგებლა. ამასაც ვაფასებთ.

ახლა შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ ერთად გაწეული მუშაობის შედეგად რა სიტუაცია იქმნება შახტებში დღევანდელი დილისათვის. გუშინ საღამოსაც და წუხელაც, დილასაც ველაპარაკე პრაქტიკულად ყველა რეგიონს, სადაც მეშახტეებმა მუშაობა შეაჩერეს.

კორესპონდენტი: დასვენების დრო არ დაგრჩენიათ...

მ. ს. გორბაჩოვი: დიახ, მაგრამ ვფიქრობ, დასვენების თავი აქ არავის ჰქონია. ადგილებზე ცენტრის წარმომადგენლები მეშახტეებთან მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდნენ. აქ მუშაობა ასეთივე რიტმით მიმდინარეობდა. რადგან ყოველ წუთს კითხვები იბადებოდა.

კორესპონდენტი: კითხვა როცა იბადება, პასუხია საჭირო.

მ. ს. გორბაჩოვი: დიახ, საჭიროა, პასუხი. ეხლა კუზბასი მუშაობს, ყარაღანდა მუშაობს. აქ, ცხადია, უნდა შევეხო დონბასსაც. იქ დამთავრდა ამხანაგ რიაბევის მეთაურობით კომისიისა და მეშახტეთა წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობა — შეთანხმებული და ხელმოწერილია დოკუმენტები. ახლა მაკეევკის მეშახტეები მუშაობენ. კიდევ ორ-სამი ქალაქის მაღაროელები მუშაობენ. ზოგიერთ სხვა რაიონში აპირებენ მუშაობის ღამით განახლებას.

დონეცკში. მხარს უჭერენ იმას, რაც უკვე გაკეთდა, მაგრამ ყოველ წუთს წუხან: არის თუ არა იმის გარანტია, რომ მორიგებანი შესრულდება, რომ ეს იქნება განხილვის საგანი უმაღლეს საბჭოშიც და მთავრობაშიც. რა თქმა უნდა, ეს ეხება იმ საკითხებსაც, რომლებიც ადგილებზე უნდა წყდებოდეს. ვფიქრობ, მათი წუხილი გასაგებია, მათ რამდენჯერმე გული გაუტყდათ. აი, ამიტომაც მინდა დონეცკელი მეშახტეები დავამშვიდო და დავადასტურო, ის, რაც ჩვენს დეპეშაში მე და ნ. ი. რიჟკოვმა გამოვთქვით, ყველაფერი, რაც შეთანხმებულია, ყველაფერი იქნება გადაწყვეტისა და ყველაზე პასუხისმგებლური განხილვის საგანი, თანაც თვით მეშახტეთა მონაწილეობით.

კორესპონდენტი: ეს, ალბათ, იმიტომაც უნდა ითქვას, რომ, როგორც საკდესი იუწყებოდა, მარტო დონეცკელ მეშახტეებს არ ეხება.

მ. ს. გორბაჩოვი: კარგია, რომ ეს ახსენეთ. ახლა განუწყვეტლივ გაისმის ტელეფონის ზარი, მოდის დეპეშები და ადამიანები გვეკითხებიან: აი, რაღაც ითქვა ამა თუ იმ რეგიონის შესახებ, მაგრამ სხვათა მიმართ არა თქმულა. სრულიად გარკვეულად უნდა დავადასტურო: მეშახტეთა მიერ წამოყენებული საკითხების გადაწყვეტის დასახული ღონისძიებანი ეხება ყველა რეგიონს. ეს-ეს არის ვესაუბრე ამხანაგ გორშკოვსაც, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, და ამხანაგ მელნიკოვსაც, კომის ასსრ საოლქო კომიტეტის მდივანს, ისინიც ამთავრებენ „ვორკუტაქვანახშირის", „ინტაქვანახშირის" მეშახტეებთან ერთად დოკუმენტების შემუშავებას. იქაც კითხულობენ: ის, რაც კუზბასის ან დონბასის შესახებ ითქვა, ჩვენც გვეხება: ერთხელ კიდევ ვადასტურებ: ყველას ეხება. მით უმეტეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ რაიმე უყურადღებობა იმის რეალიზაციის დროს, რაც შეთანხმებულია, ჩრდილოეთში, პოლარული წრის იქით მომუშავე მეშახტეთა მიმართ.

ერთი სიტყვით, საქმე ეხება ყველა მეშახტეს. მუშაობს „როსტოვქვანახშირი". არის ქვანახშირის რეგიონები, სადაც მეშახტეებს საერთოდ არ შეუწყვეტიათ მუშაობა. ასე რომ, დღეს სიტუაცია სწორდება. მინდა ახლა, ვისარგებლო ჩვენი საუბრით და ვუთხრა მეშახტეებს, რომ ამას დიდად ვაფასებთ. მათს პრინციპულობას, რაც შეეხება საკითხთა დაყენებასა და განხილვას, მათ რეალისტურობას იმის თვალსაზრისით, რომ მათ ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათს შრომას ქვეყნისათვის.

ამ სიტუაციის შემდგომი შენარჩუნება, და მით უმეტეს მისი გაღრმავება, სერიოზულ გავლენას მოახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე. მაგრამ რა არის ეკონომიკა? ეს ნიშნავს, შექმნილი მდგომარეობა აისახებოდა ქვეყნის მთელ ცხოვრებაზე. ამიტომ იმ ფაქტს, რომ დღეს მეშახტეები შეუდგნენ მუშაობას, ვფიქრობ, მთელი ჩვენი ხალხი დააფასებს.

კორესპონდენტი: მიხეილ სერგის ძევ, იქნებ, ნაადრევი იყოს კითხვა, რომელიც მინდა დაგისვათ. ალბათ, დრო დასჭირდება იმას, რომ ბევრი რამ მოვიფიქროთ და გავიაზროთ, და მაინც მინდა გკითხოთ: რა გაკვეთილებისა და დასკვნების გამოტანა შეიძლება დღეს შექმნილი სიტუაციიდან?

მ. ს. გორბაჩოვი: მართალი ბრძანდებით, რომ დასკვნებს გამოვიტანთ, მაგრამ საფუძვლიანი დასკვნების გამოტანა, მართლაც, ჯერ ნაადრევია. ცოტა დროა, მით უმეტეს ჩვენ იმით ვიყავით დასაქმებული, რომ ჩაგვეცხრო სიტუაცია, გაგვეხსნა ეს კვანძი, განგვეხილა ყველა პრობლემა, რათა ნორმალურ კალაპოტში ჩაგვეყენებინა მუშაობა.

მიუხედავად ამისა, ახლაც შეგვიძლია ზოგიერთი რამ ვთქვათ ამის თაობაზე. უწინარეს ყოვლისა, რომ გარდაქმნა გვჭირდება. რა თქმა უნდა, ქვანახშირის აუზებში, მეშახტეთა დაბებში, მეშახტეთა შრომის პირობებში, საერთოდ ამ დარგის განვითარებაში მრავალი პრობლემა დაგროვდა. მაგრამ ეს პრობლემები ხომ ამა თუ იმ მხრივ არის როგორც ეკონომიკის, ისე ხალხის სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომ მართლაც ბევრი რამ მკვეთრად უნდა შევცვალოთ გარდაქმნის გზაზე და გავაუმჯობესოთ ცხოვრების პირობები. დღეს ეს საკითხი მწვავედ დასვეს მეშახტეებმა, და არცთუ უსაფუძვლოდ.

მაგრამ სხვებიც ხომ მოელიან და უკეთესის იმედი აქვთ. ამის მიღწევა კი მხოლოდ გარდაქმნის გზებით შეიძლება. აი, რატომ არის, რომ ცხოვრება ასეთი მწვავე ფორმით ერთხელ კიდევ ადასტურებს გარდაქმნის აუცილებლობას.

და მეორე. უფრო მტკიცედ უნდა წარვმართოთ გარდაქმნა. ეს აზრი გაისმის მეშახტეთა გამოსვლებში. ისინი პირდაპირ ამბობენ, გვესმისო ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობანი და ეს შესაძლებლობანი შეიძლება გაიზარდოს, თუ ქვეყანა მტკიცედ დაადგება მეურნეობრიობის მეთოდების შეცვლის გზას. თითქოსდა, არის კანონები, რომლებმაც ფართო გზა დასახეს მეურნეობრიობის მეთოდების შეცვლისათვის, ახლებურად მუშაობისათვის. მაგრამ მათი გამოყენებისათვის ძალზე ბევრი დაბრკოლებაა. ჰოდა, მეშახტეები, მუშათა კლასი, მე კი, სხვათა შორის, ეს ლენინგრადშიც გავიგონე, რაც უკვე გაგიზიარეთ, უკმაყოფილონი არიან იმით, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა, როგორ მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმა.

ვფიქრობ, მალე მუშათა კლასის საფუძვლიანი სიტყვა აიძულებს ყველას — ცენტრშიც, ადგილებზეც, დარგებშიც, ჩაუფიქრდეს. და რაც მთავარია — განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა მოხსნას ყოველივე ის, რაც ხელს უშლის ეკონომიკის მტკიცე გარდაქმნას ქვეყნის ინტერესებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის. აი, ეს არის ერთ-ერთი დასკვნა, რომელიც ახლა, უეჭველია, გამომდინარეობს შექმნილი სიტუაციიდან. მეშახტეები ძალიან მწვავედ მოქმედებენ. ჩემი აზრით, საერთოდ ეს ის გზა არ არის, რადგან არღვევს ჩვენს სამუშაო რიტმს. მაგრამ მეშახტეებს, ალბათ, ჰქონდათ ამის საფუძველი, ერთადერთი, რაც მაინც არ დაუშვეს, ის არის, რომ არ გაეშვათ ხელიდან სიტუაცია.

კორესპონდენტი: აკონტროლებდნენ.

მ. ს. გორბაჩოვი: აკონტროლებდნენ, და ამას ჩვენ ვაფასებთ, მაგრამ მათ სწორად დასვეს საკითხი, და მუშათა კლასიც სწორად აყენებს საკითხს. აი, ეს არის, მე ვიტყოდი, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დასკვნა, რომელიც მინდოდა მომეხსენებინა: მუშები საფუძვლიანად ჰკიდებენ ხელს საქმეს. და ეს მოვლენათა მთელი დრამატიზმის მიუხედავად ძალიან ძლიერ აღმაფრთოვანებს.

აი, რა არის კიდევ ცხადი: ცენტრში ბევრი საკითხი უფრო სწრაფად უნდა გადავჭრათ, რათა შრომითს კოლექტივებს შეეძლოთ ნამდვილად ჩაებან გარდაქმნაში, ეკონომიკური რეფორმის პრაქტიკულ რეალიზაციაში და შეძლონ გააკეთონ მეტი, ვიდრე დღემდე გაკეთებული. არის მრავალი საკითხი, როგორც ქვანახშირის აუზებში კომისიების მუშაობამ გვიჩვენა, რომლებიც გადაჭრილი უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ შარშან, შარშანწინ, სამი წლის წინათაც. ამისათვის ცენტრის არავითარი გადაწყვეტილებანი არ არის საჭირო.

კორესპონდენტი: ადგილებზე.

მ. ს. გორბაჩოვი: ადგილებზე. განა ეს საქმეა, რომ ახლა კომისია განიხილავს საკითხებს, რომლებიც ეხება დაბების მოწყობას, იმას, თუ როგორ მუშაობს ტრანსპორტი, წყალსადენი, ვაჭრობა. ანდა განა არ შეიძლებოდა გადაეჭრათ ღამის სამუშაოებთან, საღამოს სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები, რამდენი და როდის იქონიონ დასვენების დღეები, სჭირდებათ თუ არა მეშახტეებს საერთო დასვენების დღე. და ასე შემდეგ. ეს ხომ ადგილობრივი საკითხებია, უკეთეს შემთხვევაში დარგობრივი. საკითხავია, რატომ მოქმედებენ ასე ადგილობრივი ორგანოები? ნუთუ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ასეთი მარტივი საკითხების გადაჭრისათვის, გამოვიყენოთ ისეთი მწვავე ფორმები, რომლებიც უბრალოდ ხალხის შეშფოთებას იწვევს.

კორესპონდენტი: აზანზარებს ქვეყანას.

მ. ს. გორბაჩოვი: აზანზარებს ეკონომიკასაც და ქვეყანასაც. ბევრი რამ თქვეს მეშახტეებმა იმაზეც, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენი პარტიული, საბჭოთა ორგანოები, კადრები. ეტყობა, მრავალნი ჯერ კიდევ წარსული წარმოდგენებით ცხოვრობენ, ვერ იგრძნეს, რომ დრო შეიცვალა, ხალხი მოითხოვს დიალოგს, საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, ეხება ქალაქებს, რაიონებს, დაბებს, საწარმოებს, სადაც ადამიანები მუშაობენ.

მაგრამ არის საკითხები, რომლებიც მთელ ქვეყანას ეხება. ახლა ადამიანებს აინტერესებთ ყველაფერი, ხოლო ზოგიერთი ამხანაგი ძველი წარმოდგენებით ცხოვრობს, ამიტომ უყურადღებობა, ცოცხალი კონტაქტის უქონლობა ხშირად იწვევს იმას, რომ საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები არ წყდება, არ განიხილება. ახლა მუშებს არ სურთ შეურიგდნენ ამას და არც შეურიგდებიან. მათ კუზბასსა და დონბასში ცენტრის წინაშე, რესპუბლიკების წინაშე, საოლქო ორგანოების წინაშე აღძრეს კონკრეტული საკითხები, რომლებიც ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას ეხება. მათ შორის ზოგან დასმულია საკითხებიც ამა თუ იმ მუშაკის შეცვლის შესახებ. ზოგან უკვე გაიმართა პლენუმები და სესიები, შეცვალეს ადამიანები, რომლებმაც აინუნშიაც არ ჩააგდეს მეშახტეთა მწვავე საჭიროებანი, რომელთა გადაჭრა ადგილებზე შეიძლებოდა.

კორესპონდენტი: ესე იგი საკითხი კარდინალურად ისმება.

მ. ს. გორბაჩოვი: აი, კიდევ ერთი გაკვეთილი შექმნილი სიტუაციიდან. ეს, სხვათა შორის, ეხმიანება იმას, რაზეც საუბარი იყო სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნებთან. თათბირზე ითქვა, რომ უნდა ვიაროთ ცხოვრების მხარდამხარ და მტკიცედ ვიმოქმედოთ ხალხის ინტერესებისათვის, ადამიანებთან ერთად განვიხილავდეთ, ვპოულობდეთ ყველაზე ძნელი საკითხების გადაჭრის გზებს. სხვა გზა არ არის. და საერთოდ, გარდაქმნა უამისოდ ვერ განხორციელდება. იგი შესაძლებელია მხოლოდ როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში, ისე სულიერ სფეროში ადამიანთა აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

ახლა შეგვეძლო ამით შემოვფარგლულიყავით. არ მინდა წინასწარ განვჭვრიტო ის, რაც ხდება პოლიტბიუროშიც, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოშიც, მინისტრთა საბჭოშიც ბჭობის საგანი. საერთოდ, ბევრი რამ გვაქვს საფუძვლიანად მოსაფიქრებელი. ვგონებ, ბევრ რამეს უნდა ჩაუფიქრდნენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებიც. ფიქრისა და მოქმედების სერიოზული იმპულსები მოგვცა მეშახტეთა გაფიცვამ.

აი, კაცმა რომ თქვას, ჩემი პასუხი თქვენს კითხვაზე. იგი, მართლაც, ჯერჯერობით წინასწარია, მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ ხვალ უმაღლეს საბჭოზე ამის შესახებ, ალბათ, გამოვიტანთ რაღაც საკითხებსა და წინადადებებს, რათა დრო არ დავკარგოთ და ვიმოქმედოთ იმ გაკვეთილების გათვალისწინებით, რომლებიც გამოგვაქვს ამ მწვავე სიტუაციიდან.

ჰოდა, დასასრულ ერთხელ კიდევ მინდა მივმართო მეშახტეებს, ყველა მუშას, ქვეყნის ყველა მშრომელს, რომ ჩვენ განვიცდით მართლაც ძალზე პასუხსაგებ პერიოდს, ეტაპს გარდაქმნის განვითარებაში. ეს შეიძლება იყოს კრიზისული პერიოდი, როცა ჩვენ დავადექით საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში ძირფესვიან ცვლილებათა გზას. ყოველივე ეს იოლად და მარტივად ვერ ხდება, ზოგჯერ დანაკარგებიც ახლავს, მაგრამ ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს, თუ გვსურს გავიდეთ ჩვენი საზოგადოების განახლების ფართო გზაზე.

კორესპონდენტი: დიდი მადლობა, მიხეილ სერგის ძევ, საინტერესო და ამომწურავი პასუხებისათვის.

მიმართვა მეშახტეებისადმი

22 ივლისს მ. ს. გორბაჩოვმა და ნ. ი. რიჟკოვმა დეპეშა გაუგზავნეს დონბასის მაღაროელთა მოთხოვნების განმხილველი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ლ. დ. რიაბევს. დეპეშაში ნათქვამია:

„მოვისმინეთ რა თქვენი ინფორმაცია დონბასის მეშახტეთა მიერ აღძრულ საკითხთა განხილვის შედეგების შესახებ. გავალებთ აცნობოთ მეშახტეებს, რომ კომისიის მიერ შეთანხმებულ ყველა საკითხს დაუყოვნებლივ განვიხილავთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მეშახტეთა წარმომადგენლების მონაწილეობით, და მივიღებთ ამ საკითხებზე საჭირო გადაწყვეტილებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ მივმართავთ დონბასის მეშახტეებს და მოვუწოდებთ განაახლონ მუშაობა. სიტუაციამ სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში კრიზისულ ზღვარს მიაღწია. ახლა საჭიროა ურთიერთგაგება და ერთობლივი მოქმედება ვითარების ნორმალიზაციისათვის"

როგორც საკდესს აცნობებს, ასე მიუდგებიან იმ საკითხთა გადაწყვეტასაც, რომლებიც ქვეყნის სხვა რეგიონებში ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშრომელებმა აღძრეს.

(საკდესი).

თათბირი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

22 ივლისს კრემლში გაიმართა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეთა თათბირი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, იურისტი მეცნიერები.

თათბირზე განიხილეს სახელმწიფო ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მომავალ არჩევნებთან, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე გამოვიდნენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. პ. ორლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე ნ. დ. პივოვაროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე გ. ს. ტარაზევიჩი და სხვები. საქართველოს სს რესპუბლიკისაგან გამოვიდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ა. კვარაცხელია.

გამართული აზრთა გაზიარების შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა ა. ი. ლუკიანოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. ი. ვოროტნიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები ე. მ. პრიმაკოვი და რ. ნ. ნიშანოვი.

აფხაზეთის ამბების გამო

23 ივლისს მუშაობას შეუდგა სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მთელი პერსონალი. პირველი საბარგო მატარებლები უკვე გავიდნენ ადლერისაკენ.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ჯაფარაშვილმა, მატარებლების მოძრაობა აღდგა რკინიგზის მთელ მონაკვეთზე — ინგირიდან ადლერამდე. მაგრამ 26 ივლისამდე გაგრძელდება ზოგიერთი სამგზავრო მატარებლის მიმოსვლა ბაქოს გავლით, შემდეგ კი ვვარაუდობთ აღვადგინოთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით მოსკოვისკენ მათი მოძრაობის ჩვეულებრივი გრაფიკი.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც სოხუმის აეროპორტმა განაახლა არა მარტო მგზავრების გაგზავნა, არამედ მათი მიღებაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

— მოქალაქეებს შეუძლიათ წინანდელივით სრულიად შეუზღუდავად ჩამოფრინდნენ აფხაზეთში, — აღნიშნა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ პალადი კაჰანაიამ.

— 24 ივლისს სოხუმის ქუჩებში განახლდა საქალაქო ტრანსპორტის — ავტობუსების, ტროლეიბუსების, სამარშრუტო და მსუბუქი ტაქსების, სატვირთო მანქანების მოძრაობა, — თქვა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ჩხეიძემ. — სოხუმში ჯერჯერობით შეხვდებით ავტობუსებსაც, რომლებიც აქ თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოთა მძღოლებმა მოიყვანეს იმ შფოთიან დღეებში, როცა მათი ადგილობრივი კოლეგები ვერ ბედავდნენ თავიანთი მანქანები გამოეყვანათ ქალაქის ქუჩებში. 25 ივლისს ნავარაუდევია განახლდეს საქალაქთაშორისო ავტობუსების მიმოსვლა აფხაზეთის ყველა გზაზე.

საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს ენერგეტიკაში.

— 24 ივლისს ენგურის ჰიდროელექტროსადგურში დენს იძლეოდა მხოლოდ ერთი აგრეგატი, — თქვა „საქენერგოს" მთავარმა ინჟინერმა რევაზ არველაძემ. — ამის გამო საქართველოს რაიონებში იგრძნობა შეფერხებები ელექტრომომარაგებაში. ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორიაზე მოსულ ადამიანთა ჯგუფმა, რომელიც დღემდე იქ იმყოფება, გვითხრა, რომ სადგური სრული სიმძლავრით კვლავ ამუშავდება 25 ივლისის 24 საათისათვის.

— 24 ივლისს დილით, — თქვა [illegible] სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში [illegible]. მათი ავტობუსი რუსთავის ხიდზე გააჩერა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა, რომელმაც აიძულა ისინი შინ დაბრუნებულიყვნენ. სადგურში იძულებული გახდნენ მუშაობა განეგრძოთ იმათ, ვინც გუშინდლიდან იყო იქ. შუადღისათვის ხიდი გაიხსნა და ჩვენი მუშაკები წავიდნენ სადგურში. ამჟამად — 15 საათისათვის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელსადგური ნორმალური რიტმით მუშაობს. მაგრამ, შექმნილი სიტუაციის გამო რესპუბლიკის ყველა დასახლებულ პუნქტს ელექტროენერგიით სტაბილურად მოვამარაგებთ, უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო დაწესებულებებს — საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებს, სამედიცინო პუნქტებს, აგრეთვე პურის ქარხნებს, სხვა საწარმოებს, რომლებიც აუცილებელია რესპუბლიკის მოქალაქეთა ნორმალური ცხოვრებისათვის.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ვითარება საერთოდ სტაბილური ხდება. გაფიცვა შეწყვიტეს სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მუშაკებმა, განახლდა რკინიგზის ტრანსპორტის მიმოსვლა. ქალაქ სოხუმის ქუჩებში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ამუშავდა ავტობუსები და ტროლეიბუსები, მგზავრები გადაჰყავთ სამარშრუტო ტაქსებსაც. ამავე დროს ჯერ კიდევ არიან ცალკეული პირები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ არ დაუშვან სტაბილიზაცია, შეინარჩუნონ დაძაბულობა, გამოიწვიონ ახალი შეტაკებანი. იყო საცხოვრებელი სახლებისათვის ცეცხლის წაკიდების, იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით თავდასხმის შემთხვევები.

მაგალითად, გუდაუთის რაიონის სოფელ ბამბორაში სცადეს თავს დასხმოდნენ ჯარის ნაწილის გუშაგს. ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ თავდამსხმელები მიიმალნენ. სამხედრო მოსამსახურეთა შორის დაშავებულნი არ არიან. მიმდინარეობს გამოძიება და ძებნა.

მთლიანად დაიწვა სოხუმში მოქალაქე ი. შახინბას კუთვნილი სახლი და მოქალაქე ი. ცხაკაიას საგარაკო სახლი სოფელ ქვემო ეშერაში. ხანძრის მიზეზებსა და ზარალს ადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საცხოვრებელი სახლებისათვის ცეცხლის წაკიდების წინ ისინი რამდენიმე დღის მანძილზე ცარიელი იყო.

მოქალაქე ლ. კვეკვესკირის ეზოში აფეთქების შედეგად ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები. ბედად არავინ არ დაშავებულა. მიმდინარეობს ძიება და ძებნა.

22 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშის მახლობლად დაუდგენელმა პირებმა გააჩერეს ვ. სანაიას კუთვნილი ავტომანქანა და მძევლად ხელთ იგდეს სამი მგზავრი. შემთხვევის ადგილას მისულმა ოპერატიულმა ჯგუფმა მძევლები გაათავისუფლა. არავინ დაშავებულა.

ოპერატიული მონაცემების რეალიზაციის დროს 22 ივლისს სოხუმის რაიონის სოფელ გვანდრაში მიგდებულ კარიერში რაიგანყოფილების თანამშრომლებმა ამოიღეს 60 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება და 2150 გრძივი მეტრი სადეტონატორო ზონარი. იკვლევენ, თუ ვის ეკუთვნის ეს ასაფეთქებელი ნივთიერებანი. მიმდინარეობს გამოძიება.

23 ივლისს გალის რაიონის სოფელ მოქვში მოქალაქე ი. მურავიოვის, მოქვის საშენ მასალათა კარიერის მეამწის სახლში ამოიღეს მცირეკალიბრიანი წაჭრილი შაშხანა და 33 ვაზნა. მურავიოვი დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება.

იმავე დღეს დააკავეს ორი მოქალაქე, რომლებზეც ეჭვი აქვთ, რომ 15-16 ივლისს მათ მოკლეს ძმები ლასურიები.

კვლავ შემაშფოთებელია ვითარება დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც ბევრ მოქალაქეს ჯერ კიდევ აქვს იარაღი, რომელიც მილიციის რაიგანყოფილებებიდან და სხვა სახელმწიფო ობიექტებიდან გაიტაცეს. იარაღის ნაწილი მოხვდა ქალაქ ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორიდან გაქცეულ დამნაშავეთა ხელში.

23 ივლისს მილიციის თანამშრომლებმა მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში იმალება საგამოძიებო იზოლატორიდან გაქცეული ჯ. დევდარიანი, რომელსაც ბრალად ედება მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით. დევდარიანის დაკავების ღონისძიების განხორციელების დროს მან, მამამისმა და ძმამ შაშხანის ტყვიით მოკლეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს თანამშრომელი ფილარეტ ხვისტანი და დაჭრეს მესტიის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექტორი რიჩარდ გირკვლიანი, ამასთან ხელთ იგდეს სატაბელო იარაღი. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ შექმნა დამნაშავეთა დაკავების სპეციალური ჯგუფი.

სამართალდამცავი ორგანოები მუშაობენ იმ პირთა დასადგენად და დასაკავებლად, რომლებიც მონაწილეობდნენ რაიგანყოფილებებსა და გასამხედროებული დაცვის საგუშაგოებზე თავდასხმებში, და მოტაცებული იარაღის ჩამოსართმევად. სამტრედიის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს დანაშაულებრივი ჯგუფის კიდევ ერთი წევრი, რომლებმაც 20 ივლისს იარაღი გაიტაცა სამტრედიის გასამხედროებული დაცვის საყარაულო შენობიდან. ეს არის ზ. ზამბახიძე, სამტრედიის ადგილობრივი მრეწველობის გაერთიანების მძღოლი, რომელსაც ჩამოართვეს 4 „ტტ" პისტოლეტი და 109 ვაზნა.

ზუგდიდში და მის რაიონში 22 ივლისს ჩამორთმეულია 5 ავტომატი, „მაკაროვის" ტიპის პისტოლეტი, „ნაგანის" სისტემის რევოლვერი, ერთი კარაბინი, 4100 მცირეკალიბრიანი ვაზნა, რომლებიც მილიციის განყოფილებებიდან გაიტაცეს.

23 ივლისს ჩოხატაურის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩამორთმეულია 173 სანადირო თოფი, რომლებიც 19 ივლისს რაიგანყოფილებიდან გაიტაცეს.

სულ ამა წლის 15 ივლისიდან რესპუბლიკაში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ამოღებულია 4733 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის: 31 ავტომატი, 29 პისტოლეტი, 102 შაშხანა, აგრეთვე 682 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება.

სიტუაციას აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში კონტროლი იწევა.

23 ივლისს 04 საათზე ქალაქ ბოლნისში დაუდგენელმა დამნაშავემ რ. ამიროვის სახლის ეზოში მოახდინა აფეთქება თვითნაკეთი მოწყობილობის მეშვეობით, რის შედეგად ნაწილობრივ დაზიანდა სახლი. მიმდინარეობს გამოძიება.

მთლიანად ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში სტაბილურია. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფები რესპუბლიკის მოსახლეობას მოუწოდებენ საყოველთაო გაფიცვისათვის. 24 ივლისს ხაზზე არ გამოვიდნენ მთელ რიგ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა მძღოლები. ამის შედეგად თბილისსა და რუსთავში ბევრი დროზე ვერ მივიდა სამუშაოზე. მთელ რიგ შემთხვევებში ახალგაზრდობა აჩერებდა ავტობუსებს, მგზავრებს აიძულებდა ჩამოსვლას, მანქანებს გზავნიდა პარკში, რითაც სჩადიოდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას. შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველა მოქალაქეს ნუ აჰყვებიან პროვოკაციებს, თავიანთი მოქმედებით ნუ გაამწვავებენ ისედაც რთულ ვითარებას რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ჯგუფი.

თანაშემოქმედება, ნდობა და ურთიერთგაგება

თვე არ გასულა მას შემდეგ, რაც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სესიაზე ერთხმად დაამტკიცეს ე. ა. შევარდნაძე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტი კი უკვე შეუდგა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობის კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას. თავიანთ მესამე სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ა. ს. ძასოხოვი, დეპუტატებმა მიიწვიეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. პეტროვსკი და ამ უწყების სხვა ხელმძღვანელები.

მომავლისათვის გამოვრიცხოთ ისეთ გადაწყვეტილებათა არადემოკრატიული, ფარული მიღება, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის, ხალხის ქმედითი კონტროლი დავუწესოთ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას — ასეთი იყო მინისტრის მოადგილის გამოსვლის ლაიტმოტივი. და, რაც მთავარია, სამინისტროს და უმაღლესი საბჭოს ურთიერთობა, რომელიც ახლა ყალიბდება, უნდა გახდეს არა მარტოოდენ პარტნიორობის, არამედ თანაშემოქმედების, ნდობისა და ურთიერთგაგების დამოკიდებულება.

ხალხის რჩეულთა მონაწილეობა საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებასა და განხილვაში, ამ ხელშეკრულებათა შესრულებისადმი კონტროლი, საერთაშორისო ნორმებთან საშინაო კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის მუშაობა — აი, კომიტეტის საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებათა არასრული ნუსხა. მაგრამ ეს მუშაობა რთული და ერთობ სპეციფიკურია და სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

დეპუტატებმა გამოთქვეს თავიანთი წინადადებები. მაგალითად, გაითვალისწინეს რა, რომ საბჭოთა კავშირი ხელს აწერს უამრავ ხელშეკრულებას, — მარტო 1988 წელს ხელი მოაწერეს დაახლოებით 400 ხელშეკრულებას — მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს გამოყონ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და განიხილონ ისინი კომიტეტში. იყო კრიტიკული შენიშვნებიც, ეს ეხება მოკავშირე რესპუბლიკების ჯერ კიდევ უმნიშვნელო მონაწილეობას სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. არ არის დამყარებული საგარეო საქმეთა სამინისტროს ქმედითი ურთიერთობა საბჭოთა სამშვიდობო ორგანიზაციებთან, სახალხო დიპლომატიასთან. მრავალ საყვედურს იწვევს ისიც, რომ საზღვარგარეთ საბჭოთა დიპლომატიური მისიების თანამშრომლები ყოველთვის ყურადღებით არ ეკიდებიან თავიანთ თანამოქალაქეთა საჭიროებებსა და საზრუნავს.

გაისმა კრიტიკა ბირთვული გამოცდების მორატორიუმისა და შეწყვეტის საკითხებზე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პროექტის გამოც. მაგრამ ეს ეხებოდა გაჭიანურებული და ზედმეტად პოლიტიზირებული დოკუმენტის ჩამოყალიბების ფორმას, და არა წერილის არსს. აზრს, რომელიც გამოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. პ. კარპოვმა, მხარი დაუჭირა ყველა დეპუტატმა: საბჭოთა პარლამენტარების მოწოდება გააქტიურებს პოლიტიკურ მუშაობას ამ საარსებო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრისათვის.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრის გათვალისწინებით დეპუტატებმა განიხილეს და მოიწონეს წინადადება ჟენევის 1949 წლის 16 აგვისტოს კონვენციების იმ დამატებითი ოქმების რატიფიკაციის შესახებ, რომლებიც ეხება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას, და სსრ კავშირისა და თურქეთის 1988 წლის 27 აპრილის საკონსულო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

ა. ალიოხინი,
საკდესის საპარლამენტო კორესპონდენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო 1989 წლის 25 ივლისს აცხადებენ აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის დღედ

რწმენის კედელი

რა გვიჩვენა დასკვნითმა მეცადინეობებმა?

იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მუშაობას, მათს ქმედითობასა და უკუგებას არასოდეს ჰქონია ისეთი მიზანმიმართულება და პრაქტიკული ღირებულება, როგორიც აქვს დღეს, მთელი ჩვენი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნა-განახლების ხანაში, როცა უდიდეს მნიშვნელობას იძენს სიტყვისა და საქმის ერთიანობა, მწვავე ცხოვრებისეულ პრობლემებზე მართებული აზრის შემუშავება, თეორიული და ინტელექტუალური საგანძურის ახალი დებულებებითა და დასკვნებით გამდიდრება. მარქსისტულ-ლენინური თეორიის თავისებურება ისიცაა, რომ ჭეშმარიტი გაგებით იგი გამორიცხავს ყოველგვარ დოგმატიზმსა და უძრაობას, უკავშირდება მუდმივ მოქმედებასა და პროგრესს, უკუაგდებს ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ რეცეპტებს, აკანონებს შემოქმედებითი აზროვნების პრიმატს. ამგვარი გაგებით ცოდნა, როგორც გარკვეული შემეცნებითი მარაგი, კარგავს თავის აბსოლუტურ მნიშვნელობას და იგი იზომება იმით, თუ რამდენად ეუფლება ადამიანის გულსა და გონებას, წარმართავს მათს საქმიანობას ახალ ამოცანათა გადაჭრისაკენ, რამდენად გვევლინება რწმენისა და შთაგონების წყაროდ. სწორედ ამ კრიტერიუმებით უნდა შევაფასოთ უკვე დამთავრებული 1988-1989 სასწავლო წელი რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური განათლების სისტემაში.

საერთოდ იგი მიმდინარეობდა მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების გარდაქმნის თაობაზე სკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 15 სექტემბრის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. საბოლოო მეცადინეობანი მოეწყო 27.072 პოლიტსკოლასა და პოლიტსემინარში და მათ ესწრებოდა 819.353 მსმენელი. მთელი სასწავლო წლის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი ეხმარებოდა სკოლებსა და სემინარებს, უგზავნიდა მათ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, აცნობდა დადებითს გამოცდილებას. მოეწყო რეფერატების რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც მიეძღვნა XIX პარტიული კონფერენციის მასალების შესწავლას. ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის თემა იყო ეროვნული ურთიერთობის განვითარების საკითხებზე სახელმძღვანელოს განხილვა. ბევრგან პროპაგანდისტის მონოლოგს სცვლიდა დიალოგი ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საკავშირო პრობლემატიკაზე, რაც მეცადინეობებს პოლემიკურ ხასიათს ანიჭებდა. გასულ სასწავლო წელს ნაყოფიერად საქმიანობდა 300-მდე პოლიტიკური სადისკუსიო კლუბი.

თითქოსდა შთამბეჭდავი ციფრები და ფაქტებია. ძველი დრო რომ იყოს, მათ, ალბათ, თამამად და რიხით წარმოვთქვამდით, მით უმეტეს ცალკეული ქალაქებისა და რაიონების პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ მხრივ გაწეული დადებითი მუშაობის გათვალისწინებით. მაგრამ დღეს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, ადამიანთა ურთიერთობაში ეგზომ გართულებული და გამწვავებული ვითარების დროს, პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ერთადერთი უტყუარი საწყაო სწორედ დღევანდელობაა მთელი თავისი დაძაბულობით, ყოველგვარი შელამაზებისა და თავის მოტყუების გარეშე. აბა, როგორ შეგვიძლია ვილაპარაკოთ პარტიული განათლების რაიმე ეფექტიანობაზე იქ, სადაც უკიდურესად დაიძაბა ეროვნებათშორისი ურთიერთობა, ადამიანებს არ სურთ და აღარ შეუძლიათ ერთმანეთის მოსმენა, საქმე მიდის აშკარა კონფლიქტურ სიტუაციამდე და ხელჩართულ შეტაკებამდე, რომლებსაც თან სდევს გამოუსწორებელი მძიმე შედეგები, ადამიანთა მსხვერპლი. ამ დროს მოდუნება და თვითდამშვიდება არ უნდა ვაპატიოთ საკუთარ თავს, თორემ ცხოვრება ისედაც არ გვაპატიებს.

მომავალში სწორედ სადისკუსიო კლუბებსა და ფართო დიალოგს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, რადგან იგი საშუალებას იძლევა დღის წესრიგში დავაყენოთ მტკივნეული საკითხები და ვეძებოთ მათი გადაჭრის არაორდინარული გზები. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ გასავალი აქვს მხოლოდ მართალ სიტყვას და აზრს, ამას კი მოვიპოვებთ მხოლოდ პოლემიკის გზით, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების შეჯერებით, გონივრული განსჯის საფუძველზე. როცა ცხოვრება აყენებს პრაქტიკულად გადასაწყვეტ საკითხებს და ჩვენ გავურბივართ მათზე მსჯელობას, აზრთა გაზიარებას, ეს ნიშნავს, რომ ვკარგავთ კავშირს სინამდვილესთან. ასეთი მეცადინეობა არავის სჭირდება, პირიქით, მხოლოდ ზიანი მოაქვს. პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის ამოცანა სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ გავემიჯნოთ ამგვარ ფორმალიზმს, პარტიული სწავლება შევავსოთ ახალი შინაარსით, წინ წამოვწიოთ იმ საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, რომლებიც ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, საზოგადოების სულიერ გაჯანსაღებას, მასებთან პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის დაახლოებას, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ შეუნელებელ ბრძოლას უკავშირდება.

საბოლოო მეცადინეობებზე მსმენელები გულისტკივილით ლაპარაკობდნენ თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე, იმაზე, რომ საჭიროა პროპაგანდის მიახლოება ცხოვრებასთან, შერყეული რწმენის აღდგენა, ხალხის ფიქრებისა და მისწრაფებების გულახდილი გაზიარება.

განვლილმა სასწავლო წელმა ნათლად გვიჩვენა, რომ პარტიული სწავლების ბევრი პოლიტსკოლა და სემინარი, განსაკუთრებით კომკავშირული პოლიტსწავლება, კვლავ უძრაობის ტყვეობაშია, ფორმალურად არსებობს, მეცადინეობების დროს უპირატესად გაისმის პროპაგანდისტის მობეზრებული, ფორმითა და შინაარსით მოძველებული ხმა, ნაკლებად შეხვდებით აზრთა ცოცხალ ურთიერთგაცვლას, საღ დიალოგს თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებზე. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მსმენელებს, მით უმეტეს სიახლეს დაწაფებულ ახალგაზრდებს, თვალი და ყური სხვაგან გაურბით, ხარბად აღიქვამენ იმას, რაც უფრო შეესაბამება მათს განწყობილებასა და სწრაფვას, ფაქტობრივად ზურგს აქცევენ ფორმალურ შეკრებად ქცეულ პოლიტიკურ სწავლებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მარნეულის, დუშეთის, ხობის, ყვარლის, ჯავისა და სხვა რაიონული პარტიული ორგანიზაციები საჭირო ღონისძიებებს არ მიმართავენ პოლიტსწავლების გარდაქმნისათვის, ბევრგან ჯეროვნად არ ზრუნავენ პროპაგანდისტთა კადრებისთვის, სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაცია პროპაგანდისტულ საქმიანობაში ჯეროვნად არ იყენებს მდიდარ სამეცნიერო-შემოქმედებითს პოტენციალს, დედაქალაქის ზოგიერთი პარტიული კომიტეტი იდეოლოგიური ფრონტის ამ მნიშვნელოვან უბანზე ვერ ავლენს კომპეტენტურობასა და საქმის სიყვარულს, თვითკრიტიკულად ვერ აფასებს გაწეულ მუშაობას.

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების არსებითი ნაკლია ის, რომ ყოვნდება შემობრუნება აქტუალური პრობლემებისაკენ. გვაქვს, მაგალითად, ეკონომიკის შემსწავლელი მრავალი სკოლა და სემინარი, მაგრამ მეურნეობრიობის ახალი ფორმების დაუფლება მოისუსტებს. ამის გამო სოფლად და ქალაქად ბევრგან არ ხორციელდება სოციალისტური საწარმოს შესახებ ახალი კანონის მოთხოვნები, ვერ ნერგავენ სრულყოფილად საიჯარო და საარენდო შრომას, მაქსიმალურად არ არის გამოყენებული შრომის სტიმულირების პრინციპები. ყოველივე ეს კი პირდაპირ აფერხებს სოციალურ რეფორმებს, ეკონომიკურ განვითარებას. არ შეიძლება კარგად შევაფასოთ ამა თუ იმ სკოლისა და სემინარის მუშაობა, თუ მისი მსმენელები პრაქტიკულად არ გარდაიქმნებიან და ცხოვრებაში არ გვიჩვენებენ ახლის ერთგულებას. ამიტომაც მომავალში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საბოლოოდ უნდა დავძლიოთ საქმის რაოდენობრივი მხარით დაკმაყოფილების განწყობილება და ყურადღება გავამახვილოთ საკითხის შინაარსეულ მხარეზე, მოსალოდნელ საბოლოო შედეგზე, ჭეშმარიტ წინსვლაზე.

— რა ვაკეთოთ დღეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სტილის გარდაქმნისათვის, როგორ სრულვყოთ მასებთან კავშირურთიერთობის ფორმები, რა გზები და საშუალებები გამოვნახოთ დაკარგული ნდობის აღსადგენად, — ეს საკითხები, რომლებიც არა მარტო ღრმა დაფიქრებასა და თეორიულ განსჯას, არამედ, რაც მთავარია, პრაქტიკულ მოქმედებას მოითხოვს. გარდაქმნის თეორია და პრაქტიკა, მშფოთვარე, მძაფრი დინამიზმით, წუხილითა თუ იმ იმედით აღსავსე ჩვენი ყოველდღიურობა სწორედ აქეთკენ გვიბიძგებს. ან სათავეში ჩავუდგებით მოვლენათა განვითარებას და წარვმართავთ მათ სამართლიანობის, კაცთმოყვარეობისა და ჭეშმარიტების კანონთა საფუძველზე, ანდა კვლავინდებურად დავსჯერდებით მაჩანჩალობას, ხელში შეგვრჩება ცარიელი სახელი და ხელმძღვანელობა, გარიყული დავრჩებით ცხოვრებისაგან. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ახლა ყველა ორგანიზაციასა და რგოლში, ყველა დონეზე ასე უკომპრომისოდ სვამდნენ ცხოვრებასავით ძველსა და მარადიულ ყოფნა-არყოფნის კითხვას. კვლავ მძლავრობს ძველი ინერცია: ვნახოთ, რა მოხდებაო, მაგრამ ბევრი რამ მოსახდენი უკვე მოხდა, და თუ ეს მხედველობიდან გამოგვრჩა, უკვე ნიშნავს გარიყვას. დღეს მხოლოდ საქმე და კეთილი გული უშველის ჩატეხილი ხიდის გამრთელებას, მთელი საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციას, დასახული მიზნისაკენ თანამიმდევრულ წინსვლას. ამიტომაც საჭიროა მოვთოკოთ ამბიციები და განაწყენება და მარტო დარჩენის დროს მაინც ვკითხოთ საკუთარ თავს: რას ვაკეთებთ ვითარების რადიკალურად შეცვლისათვის, ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მათი გუნება-განწყობილების გამოკეთებისათვის, რამდენად მართალნი ვართ ჩვენი იდეური რწმენის წინაშე, მთელი სიწმინდითა და თავდადებით ვემსახურებით თუ არა ხალხის ინტერესებს?

გარდაქმნის გაღრმავების კვალობაზე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ძალების აქტიურობა, დღის წესრიგში დგება ყველაზე მტკივნეული ცხოვრებისეული საკითხები, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის რეალურად დამკვიდრების, სულიერი და ზნეობრივი სრულყოფის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ ცხადყო, რომ ასეთ საკითხებზე მზამზარეული პასუხები არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს, ამიტომაც საჭიროა ძიება და წინსვლა, ყველა შესაძლო წინადადებისა და მოსაზრების გონივრულად აწონ-დაწონა, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ხელახალი შეფასება, რათა თავიდან ავიცილოთ ზერელობა და ცალმხრივობა, ვიპოვოთ ერთადერთი გზა ჭეშმარიტებისაკენ.

ასე რთული, შინაარსით დატვირთული და წინააღმდეგობრივია დღეს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, მაგრამ ესაა რეალობა და სწორედ ამ გადასახედიდან უნდა შევაფასოთ ნებისმიერი ორგანიზატორული და იდეოლოგიური ღონისძიება, მათ შორის მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლება.

კვლავ გადაუდებელ ამოცანად რჩება ფორმალიზმის დაძლევა, სწავლების ცხოვრებასთან დაკავშირება, საჯაროობისა და აზრთა პლურალიზმის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება, ადამიანთა გრძნობებსა და განწყობილებაზე სასიკეთო ზემოქმედება.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოვლენების განვითარება, ეროვნებათშორისი ურთიერთობის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამწვავება, რომლებსაც, სამწუხაროდ, თან ახლავს ტრაგიკული შეხლა-შემოხლა, გაფიცვები და სხვა საპროტესტო გამოსვლები, სულ სხვაგვარად აყენებს მთელი აღმზრდელობითი და პოლიტიკური მუშაობის რაობასა და მნიშვნელობას. საუბრისა თუ მეცადინეობის ერთადერთ და შესაძლებელ ფორმად რჩება გულახდილი დიალოგი, ხალხთან საერთო ენის გამონახვა, მათი სამართლიანი მოთხოვნების რეალური დაკმაყოფილება, რაც მთლიანად უნდა გამორიცხავდეს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პრობლემებზე ზოგად და უსულგულო მსჯელობას.

გაზეთ „კომუნისტის“ პარტიულ-იდეოლოგიური მუშაობის განყოფილება.

მეგობრობის ხიდი არ ჩატყდება

ქართველ-ოსთა ძმობის ხიდი უძველეს დროში გაიდო და მას ჩატეხვა არ უწერია, არც ჟანგი ეკიდება, ვერც დროთა სვლა აკლებს რაიმეს. ქართველი და ოსი ერთად ებრძოდნენ საერთო მტრებს და გამარჯვებასაც ერთად ზეიმობდნენ. ამ ჭეშმარიტების კიდევ ერთი დასტური იყო კვაისის მაღაროთსამმართველოს კულტურის სახლში სამი მეზობელი რაიონის — ჯავის, ონისა და ამბროლაურის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელიც ამჯერად მოეწყო, რომ ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ გულისტკივილი, აფხაზეთში მომხდარმა ამბებმა რომ გამოიწვია.

სამარცხვინო ფაქტის წინაშე დაგვაყენეს ექსტრემისტებმა — გუშინდელი ძმები ისე წაჰკიდეს, რომ დღეს სასიკვდილოდ არ ინდობენ ერთმანეთს. გონს უნდა მოეგონ მოშურნენი. ხალხის ნება უნდა აღუდგეს მათ აღვირახსნილ მოქმედებას, განაცხადა მეგობრობის მიტინგის გახსნისას პარტიის ჯავის რაიკომის პირველმა მდივანმა ყაზბეგ კოჩიევმა. ჩვენ, ამ მთების შვილები, ერთ ბედ ქვეშა ვართ. როცა კვაისელს უჭირს, ონელი ძმა პირველი მოდის დასახმარებლად, და თუ რამე გაუჭირდა რაჭველ კაცს, რომელსაც გზა მთებზე აქვს გასავლელი, იქ არის ოსი. ასე იყო ძველად და ასეა ახლაც.

ერთიანი ძალისხმევით ვშრომობთ მაღაროებში, და განა იმიტომ, რომ ჩვენი მოპოვებული ტყვია ძმათა სისხლისღვრას მოხმარდეს?

ჩვენო ძვირფასო ოსო დებო და ძმებო, ჩვენ ერთი გული გვაქვს, ერთი სული და ერთი სისხლი, თქვა მიტინგზე პარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა მანანა კერვალიშვილმა, ჩვენ ყველანი კავკასიის შვილები ვართ და ერთმანეთი როგორ არ უნდა გვიყვარდეს. ჩვენს შორის არ ყოფილა გადაუჭრელი პრობლემა და არც არაფერი გვაქვს გასაყოფი.

ონის რაიონის სოფელ წედისის მკვიდრმა გრამიტონ მაისურაძემ განაცხადა: ჩვენი ძმობა ძლიერია. კვაისაშიც და ჩვენს რაიონშიც იშვიათად ნახავთ ოჯახს, რომ არ ჰყავდეს ოსი რძალი, და პირიქით. ეს თანაცხოვრება ბევრ სხვა რამესთან ერთად ერთმა სარწმუნოებამაც განაპირობა.

ერთად ტკბილად გვიცხოვრია ქართველ-ოს-აფხაზს, თქვა მიტინგზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა, პროფესორმა ნაფი ჯუსოითმა. არ ვიცი, ახლა რა გვიშლის ხელს, რა არ გვყოფნის, რომ მეგობრულად ვიცხოვროთ. საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ხალხებს მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული და ძმობა იხსნის ყოველგვარი გამსაცდელისაგან.

მიტინგის მონაწილეთა აზრი იქით იყო წარმართული, რომ გავუფრთხილდეთ მშობლიურ საქართველოს.

„გვიყვარდეს ძმობა — იგი ტრფობა არის ძმისადმი“ — კოსტა ხეთაგუროვის ეს მოწოდება გულთან მიიტანეს მეგობრობის მიტინგის მონაწილეებმა, რომლებმაც ქართულ-ოსური სტუმარმასპინძლობა საერთო სალხინო სუფრით დაამთავრეს.

ბივი თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეკოლოგია

გვეყო გულგრილობა, ახლა მოქმედების დროა!

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ფართოდ აღინიშნება გარემოს დაცვის მსოფლიო დღე. ამ თარიღთან დაკავშირებით, რესპუბლიკაში მუდამ ორგანიზებულად და ენთუზიაზმით ეწყობა ხოლმე ბუნების დაცვის ერთთვიურები, რაც კარგა ხანია, ტრადიციად იქცა.

რედაქციამ სთხოვა საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს შოთა შალამბერიძეს ჩვენი გაზეთის საშუალებით უფრო ვრცლად მოეთხრო საზოგადოებისათვის რესპუბლიკის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და ამ მხრივ გაშლილ საქმიანობაზე.

ბუნება და მასთან დაკავშირებული პრობლემები მუდამ აინტერესებდა კაცობრიობას, მაგრამ გარე სამყაროს დაცვის გარდაუვალობა განსაკუთრებით გამოიკვეთა ჩვენი საუკუნის მესამე ათწლეულში, როდესაც მსოფლიოს წინაშე დადგა ენერგეტიკის, ნედლეულის, სურსათის, მტკნარი წყლის, ჰაერის სისუფთავისა და სხვა პრობლემები.

პრობლემა გლობალურია და, ამდენად, ეროვნული სუვერენიტეტის, ეკონომიკური განვითარების საკითხებით შემოფარგლული სტრატეგიისა და მეცნიერების ცალკეული დარგების თანამედროვე მდგომარეობის საზღვრებსაც სცილდება.

თუ 60-იანი წლები ოპტიმიზმისა და პროგრესის გარკვეული პერიოდი იყო, რომელიც ჩვენი სამყაროს გაუმჯობესებისა და განახლების საერთაშორისო პროგრესული იდეების ხორცშესხმის დიდ იმედებს იძლეოდა, მომდევნო ეტაპზე აღმოჩნდა, რომ, თურმე, დღეს კაცობრიობა თავისი ისტორიული ევოლუციის შემობრუნების წერტილზეა და გადამწყვეტ მომენტში თუ როგორ მოიქცევიან ადამიანები, სწორედ ამაზეა დამოკიდებული მთელი კაცობრიობის ბედი. ახლა ბევრს წერენ და ლაპარაკობენ „ეკოლოგიურ მსოფლმხედველობაზე“. უფრო მეტიც, თურმე, ამგვარი მსოფლმხედველობა განაპირობებს ჩვენს საერთო მომავალს. და რაკი კაცობრიობა ეკოლოგიური კრიზისის ზღვარზეა და მდგომარეობაც ზედმიწევნით სერიოზულია, სწორედ რომ არნახული ძალისხმევა, ახალი იდეები და სათანადო მატერიალური საშუალებებაა საჭირო მოახლოებული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

შექმნილ მდგომარეობას, სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ვერც ჩვენმა რესპუბლიკამ დააღწია თავი. ეკოლოგიური სიტუაცია რესპუბლიკაში კვლავ დაძაბულია.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი 1975 წლიდან არსებობდა, მაგრამ მას, როგორც სხვა რესპუბლიკებისას, მხოლოდ კონტროლის ფუნქციები ეკისრებოდა. სამწუხაროდ, დღესაც თითქმის იგივე გრძელდება. როგორც გამოცდილებამ დაადასტურა, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის (ისევე როგორც საერთოდ ეკოლოგიური) პრობლემების მოგვარება მარტოოდენ კონტროლით თითქმის შეუძლებელია. ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, ბუნებათსარგებლობითი თუ ბუნებადაცვითი საქმიანობა ორგანულად ურთიერთშეკავშირებული პროცესებია, გვევლინება როგორც ერთიანი ამოცანის ორი მხარე, წარმოადგენს რა მთლიანი სისტემის („ეკონომიკა-ეკოლოგია-საზოგადოება“) ქვესისტემებს. ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია ეკოლოგიური პრობლემების მოუგვარებლად, და პირიქით. სწორედ ამიტომ, პრობლემის ასაჭრელად და მისი კონსტრუქციული გადაწყვეტისათვის აუცილებელია (სისტემური ანალიზის საფუძველზე) მეცნიერულად დასაბუთებული ეკოლოგიური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედება არა მარტო რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების პერსპექტიულ კონცეფციებს, არამედ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობასაც.

სხვა მიზეზებთან ერთად ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის პრეროგატივაში მხოლოდ კონტროლის ფუნქციებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ როგორც რესპუბლიკა, ასევე მთელი ჩვენი ქვეყანა დღესდღეობით 25—30 წლით მაინც ჩამორჩება საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების პრაქტიკას ბუნების დაცვის საკითხებში.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან? წელიწადიც კი არ გასულა, რაც შეიქმნა საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის გაერთიანებული სახელმწიფო კომიტეტი. იგი, ცხადია, ზემოაღნიშნულის გამო ვერ მიიღებდა „მდიდარ მემკვიდრეობას“, ყოველ შემთხვევაში ისეთს, როგორიც ესაჭიროება დღევანდელობას. უფრო მეტიც. რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სადღეისოდ რესპუბლიკაში (ბუნების დაცვის სამსახურში) გაცილებით ნაკლებია მუშაკთა რაოდენობა, ვიდრე საზღვარგარეთის ბევრ განვითარებულ, თუნდაც მცირერიცხოვან ქვეყნებში, სადაც შექმნილია სხვადასხვა სახის ეკოლოგიური ფონდები და გარემოს კონტროლისათვის გამოიყენება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სტაციონარული თუ გადასადგილებელი დაკვირვების პუნქტები. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გაგვაჩნია და, ალბათ, არც ახლო მომავალში გვექნება. რაღა შორს წავიდეთ, ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებსაც ბევრად ჩამოვრჩებით. ჩვენთან ხომ, ახლად შექმნილი კომიტეტის ცენტრალური აპარატი (ასე თქვათ, „დარგის შტაბი“) შემცირდა 62 პროცენტით, ხოლო ქვედანაყოფები — 30 პროცენტით. შემცირების შემდეგ რესპუბლიკის მხოლოდ 14 რაიონში გვაქვს შესაბამისი ორგანიზაცია, ნაცვლად 44-ისა. ისე გამოდის, რომ გაძლიერების ნაცვლად ორგანიზაციულად საგრძნობლად დასუსტდა კომიტეტი, მოთხოვნები კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალმხრივ გაიზარდა. აი, ასეთი შეუსაბამობაა დღეს და იგი დროულად უნდა გამოსწორდეს, თორემ, ამ ძალებით თითქმის შეუძლებელია არათუ ხელმძღვანელობა და სრულყოფილი საქმიანობა, არამედ სხვა ორგანიზაციათა ბუნებადაცვითი საქმიანობის კოორდინაცია და ადგილებზე ეკოლოგიური სიტუაციის სისტემატური კონტროლი. ვფიქრობთ, აღარ შეიძლება ზედმეტი მომჭირნეობა არც ბუნების დამცველი ინსპექტორების შენახვაზე და აღარც საკონტროლო აპარატურის შეძენაზე. ბუნების დაცვის სამსახურები საიმედოდ აღჭურვილი და სათანადოდ დაკომპლექტებული უნდა იყოს.

უკვე გადადგმული გვაქვს საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები, რომლებიც, ცხადია, არა მარტო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, არამედ ცალკეული უწყებებისა, და საერთოდ, მთელი საზოგადოების თანადგომას საჭიროებს.

„საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნის და სატყეო მეურნეობის მართვის სრულყოფის თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნა საზოგადოებრივი საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანაა ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი პრობლემების, მათ გადასაწყვეტად მიღებული სათანადო კონცეფციებისა თუ რეკომენდაციების ყოველმხრივი და საფუძვლიანი განხილვა.

კომიტეტმა, საზოგადოებრივ საბჭოსთან ერთად, უკვე დაიწყო აღნიშნული კონცეფციებისა თუ რეკომენდაციების შესამუშავებლად რესპუბლიკაში „ეკოლოგიურად კონფლიქტური“ რეგიონების, რაიონების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების შესწავლა. ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეს ძირითადი კონცეფციები საფუძვლად დაედება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამას, რაც თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმის გარკვეული საფუძველი იქნება. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები გარემოს დაცვის ახალი კანონის პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების ასპექტებს.

ამრიგად, ბუნების დაცვის საქმეში აუცილებელია ფართო, მასშტაბური რეფორმა, რომელიც სათანადო კორექტივს შეიტანს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამ რეფორმის წარმატებით განხორციელების საწინდარია რესპუბლიკაში შექმნილი „ეკოლოგიური სიტუაციების“ სწორი ასახვა, მათი გაანალიზება და პრობლემათა გადასაჭრელად მეცნიერულად დასაბუთებული კონსტრუქციული გზების დასახვა; ცხადია, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური სახსრების გათვალისწინებით და საზოგადოებრიობის შეგნებული, აქტიური თანადგომით.

ჩვენი აზრით, უმთავრესი პრობლემაა შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა, მისი ესთეტიკური სახის აღდგენა და წყლის ხარისხის გაუმჯობესება. პრობლემა გლობალურია, და ამდენად, შავი ზღვის ეკოსისტემის დასაცავად თუ მისი წონასწორობის შესანარჩუნებლად დადებულია მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები, მიღებულია საკავშირო და რესპუბლიკური დადგენილებანი. სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის ცნობილი დადგენილების საფუძველზე, რომელიც შავი და აზოვის ზღვების აუზთა დაცვას ეხება, რესპუბლიკაში ხორციელდება პრაქტიკული ღონისძიებანი, მაგრამ... შავი ზღვის გაბინძურება ჩვენს სანაპიროებთან მაინც არ მცირდება ჯერჯერობით.

ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე (შავი ზღვის აუზის წყალსატევებში), ჯერ კიდევ 1985 წლისათვის უნდა შეწყვეტილიყო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების გადაგდება. მიუხედავად ამისა, როგორც ამას შექმნილი სიტუაცია გვიჩვენებს, თუ გავითვალისწინებთ საწმენდი ნაგებობათა მშენებლობის ტემპსა და ექსპლოატაციის კულტურას (რომ არაფერი ვთქვათ საკმაოდ მოკრძალებულ დაფინანსებაზე), დასმული ამოცანის გადაჭრა XIII ხუთწლედშიც კი შეუძლებელი იქნება. გადავხედოთ რეალურ სურათს: თუ 1980 წელს რესპუბლიკის 106 ქალაქიდან და დასახლებული პუნქტიდან, რომელთაც წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა აქვთ, კანალიზაცია (ისიც ნაწილობრივ) მოწყობილი იყო მხოლოდ 45 ქალაქში, წინა ხუთწლედში მათი რიცხვი მხოლოდ სამი ერთეულით გაიზარდა. 11 შავი ზღვისპირა ქალაქისათვის დიდი ხნის წინათ დაპროექტებული საწმენდი ნაგებობებიდან დღეს მხოლოდ 8 მოქმედებს და მათგან გაწმენდის ხარისხი არც ერთში არ უახლოვდება ბიოლოგიურს. საერთოდ, დღეს ჩამდინარე წყლების 40-50 პროცენტი თუ იწმინდება.

შავი ზღვის აუზის მდინარეებისპირა ქალაქებიდან მხოლოდ ცხრას თუ აქვს საწმენდი ნაგებობა და მათი ეფექტიანობაც, საპროექტოსთან შედარებით, ძალზე მცირეა. საწმენდ ნაგებობათა არასრული დატვირთვა, ძირითადად, დასახლებულ პუნქტებში საკანალიზაციო ქსელისა და, ცალკეულ შემთხვევებში, მთავარი გამყვანი კოლექტორის უქონლობითაა განპირობებული. აქ, უპირატესად, კანალიზაციის გაერთიანებული სისტემები გამოიყენება, და მასში ჩართული სამრეწველო ჩამდინარე წყლები წინასწარ (ლოკალურად) როდი იწმინდება. უფრო მეტიც, გაწმენდის მდარე ხარისხი განპირობებულია აღნიშნულ სადგურთა მართვისა და რეგულირების ავტომატიზაციის არასრულყოფილი მოწყობილობებით. მომსახურე პერსონალის დაბალი კვალიფიკაციით და ა. შ.

მავნე ქიმიური ნივთიერებანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ხვდება ზღვაში — ნარეცხი შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების სახით, აგრეთვე მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და სამრეწველო ობიექტებიდან.

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად შეისწავლა შავი ზღვის მდგომარეობა და აღნიშნული საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა. მართალია, დღეს ამ პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა უწყებანი აწარმოებენ სათანადო სამუშაოებს, მაგრამ მათ შორის არ არსებობს კოორდინაცია და არც ღონისძიებათა კომპლექსური გეგმაა შედგენილი. ამიტომაც შეუდგა ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი კომპლექსური გეგმის შედგენას, რომელიც, ალბათ, საგაისოდ დამთავრდება და დამტკიცების შემდეგ სათანადო უწყებებს გადაეცემა სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად.

ბუნების დაცვის გრძელვადიანი პროგრამის უქონლობამ და, ამდენად, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი კონცეფციების შემუშავებისას მისმა გაუთვალისწინებლობამ განაპირობა ამჟამად არსებული სერიოზული წინააღმდეგობანი ეკოლოგიასა და ენერგეტიკას შორის. ეკოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების გეგმები დღეისათვის სერიოზულ გადახედვას და, ალბათ, ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს. „2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებების“ მიხედვით, 1990 წლისათვის საქართველოს ელექტრობალანსში დეფიციტი 2,83 მილიარდ კილოვატსაათამდეა ნავარაუდევი, ხოლო 2005 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავებამ 37,65 მილიარდ კილოვატსაათს უნდა მიაღწიოს.

ამ მიზნით გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოება და რეკონსტრუქცია, ქუთაისში მძლავრი საბაზისო თბოელექტროსადგურის, ხოლო თბილისში — თბოელექტროცენტრალის მშენებლობა, რის შედეგადაც საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს ენერგოსისტემის სტრუქტურა და სტაბილური გახდეს მისი მუშაობა ზამთრის პერიოდში.

„ძირითადი დებულებების“ თანახმად, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის ევროპული ზონის სამხრეთ რაიონში პიკური და ნახევრადპიკური დატვირთვების დასაფარავად განზრახულია აშენდეს ახალი ჰიდროელექტროსადგურები. ცხენისწყალზე ცაგერის ჰიდროელსადგურის, რიონზე კი ნამახვნის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადის მშენებლობაა გათვალისწინებული, სათანადო ყურადღება დაეთმობა მცირე ენერგეტიკის განვითარებასაც.

თავი რომ დავანებოთ ეკოლოგიურ ასპექტებს, „ძირითად დებულებებში“ მითითებული ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის მოცემულ ვადებში განხორციელება პრაქტიკულად მეტად ძნელია და, ალბათ, შეუძლებელიც.

არსებობს საკითხის მეორე მხარეც: ჩვენს ისედაც მცირემიწიან რესპუბლიკაში ამდენი წყალსაცავების დაგეგმვა, ალბათ, გაუმართლებელია, რადგან მომავალში, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნულა, ელექტროენერგიის ახალი წყაროს აღმოჩენა შესაძლებელია, ხოლო ახალი მიწებისა — არა. ამიტომაც, კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია დროულად შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი (ენერგეტიკოსების, ჰიდროტექნიკოსების, ეკონომისტების, ეკოლოგებისა და სხვათა შემადგენლობით), რომლებიც ენერგეტიკის განვითარების ახალ სტრატეგიას — შეიმუშავებენ ეფექტიანი ენერგეტიკულ-ეკონომიკური და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, მცირე ენერგეტიკისა და სხვა „არატრადიციული“ წყაროების ათვისების გზით. რაკი სიტყვა კაშხლების მშენებლობაზე ჩამოვარდა, აქ ვერც კახეთის რეგიონებში მათი მოწყობის საკითხს ავუვლით გვერდს, რამაც საზოგადოების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

კახეთის რეგიონში უკვე მიმდინარეობს დალის მთის, ილტოსა და ლაკბეს წყალსაცავების მშენებლობა. არ შეიძლება იმის დაბეჯითებით თქმა, თითქოსდა, ამ წყალსატევებს, ისევე, როგორც ნებისმიერ მათი ტევადობის წყალსაცავს (რომელ რეგიონშიც უნდა იყოს) გარკვეული ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლოს გარემოსა და კლიმატზე.

ვინაიდან აღნიშნული წყალსაცავები დაპროექტდა და მათი მშენებლობა დაიწყო მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით კომპლექსურ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ექსპერტიზას, აუცილებელია დამპროექტებლებმა და მშენებლებმა გაითვალისწინონ საზოგადოებრივი აზრი და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გასცენ მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ამ რეგიონში ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური თუ სხვა პრობლემების მოგვარებას. უფრო მეტიც: როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მიწების მელიორაცია მდინარეების მინერალიზაციას ზრდის და წყალსატევებში მტკნარი წყლის ჩადინებას ამცირებს. ამის კვალობაზე წყალსატევები ინტენსიურად ჭუჭყიანდება სასუქებითა და პესტიციდებით, ძლიერდება მიწების დამლაშება, დაჭაობება და ა. შ. ჯერ კიდევ მაქსიმალურად ვერ ვიცილებთ თავიდან იმ ზარალს მიწების რწყვისას წყლის დანაკარგებს, წყლისმიერ ეროზიას, [illegible], ნიადაგისა და წყალსატევების გაჭუჭყიანებას რომ უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ მთელმა თაობებმა მნიშვნელოვანი და შრომატევადი მუშაობა გასწიეს კოლხეთის ასათვისებლად, ეს საკითხი კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება... კოლხეთის ათვისება ხომ მხოლოდ მისი ექსპლოატაციის თვალსაზრისით ხდებოდა, ეკოლოგიურ ასპექტებს კი არავინ ითვალისწინებდა. ჭაობის დაშრობა საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე დაიწყო და ახლა ძნელი გასარკვევია, მეცნიერულად რამდენ საფუძვლიანად იყო შესწავლილი და დასაბუთებული მისი ათვისებისათვის შერჩეული მეთოდები. ახლა იმის თქმაღა შეიძლება, რომ ამ სამუშაოთა სტრატეგია და პრინციპები შეცვლას საჭიროებს. აქ შეგვეძლო მოგვეყვანა საკმაო დამაფიქრებელი სტატისტიკა დღემდე დახარჯული თანხების, ხელმეორედ დაჭაობებული ტერიტორიების, მოჭრილი და ამოძირკვული ხეების რაოდენობაზე და ასე შემდეგ. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ კოლხეთის ეკოსისტემის დღევანდელი მდგომარეობა და იქ მიმდინარე სამუშაოები სასწრაფო კორექტირებას საჭიროებს.

ალბათ, მიზანშეწონილია, სათანადო ორგანოებმა (მშენებლებთან, სამეცნიერო გაერთიანებებთან, შესაბამის სპეციალისტებთან და საერთოდ ყველა იმ უწყების წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირში, რომელთა საქმიანობაც აღნიშნულ პრობლემას უკავშირდება), სწორედ ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით შეიმუშაონ კომპლექსურ ღონისძიებათა პროექტი, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს კოლხეთის დაბლობის გეგმაზომიერ და გონივრულ ათვისებას.

ზემოაღნიშნულიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ, ეკოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასევე სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს ნიადაგების მელიორაციული ათვისების, რწყვა-დაშრობის სამუშაოთა დაგეგმვის პროექტირებისა და მშენებლობის არსებული პრაქტიკა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

საჭიროა გონიერება, შრომა, ძალთა კონსოლიდაცია

ამჟამად მთელი ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის, და არა მარტო მისი, ყურადღება აფხაზეთში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიისაკენ არის მიპყრობილი. ყველანი ერთსულოვნად მოითხოვენ მისი ორგანიზატორებისა და მონაწილეების გამოვლენას, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას და მდგომარეობის სტაბილიზაციას. როგორც პრესისა და რადიო-ტელევიზიის მასალებითაც ჩანს, საამისოდ ბევრი რამ კეთდება, პირველი სასიკეთო შედეგებიც არის, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზე ბევრია.

სწორედ ამიტომ ახლა თითოეულსა და ყველას განსაკუთრებით გვმართებს წინდახედულება და გონიერება, ნაყოფიერი შრომა, ძალთა გაერთიანება, რათა ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენოთ ცხოვრება, ოპერატიულად გამოვასწოროთ მდგომარეობა, მოუფიქრებელი გადაწყვეტილებებითა და მოქმედებით მოშურნეთა წისქვილზე არ მივუშვათ წყალი.

ძირითადად ეს აზრი გამოიკვეთა თბილისისა და რუსთავის რამდენიმე მსხვილი სამრეწველო საწარმოს მშრომელებთან „კომუნისტის“ კორესპონდენტთა გუშინდელი საუბრისას.

თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს თამაზ პაიჭაძეს ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პატარა ხეივანში შევხვდით, უფრო სწორად, შევუერთდით იქ შეკრებილ მეთაური ქარხნის მუშებს, რომლებსაც დირექტორი ესაუბრებოდა, კიდევ ერთხელ უხსნიდა მათ, რაოდენ უარყოფითად იმოქმედებდა გაერთიანების ეკონომიკაზე საწარმოს გაჩერება.

კიდევ ერთხელ, იმიტომ ვამბობთ, რომ ისინი ახალი გამოსული იყვნენ ქარხნის კლუბიდან, სადაც საწარმოს მშრომელები და სხვადასხვა არაფორმალური გაერთიანების წარმომადგენლები სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობდნენ.

— ეს გაუთვალისწინებელი შეკრება, — გვითხრა გაერთიანების პარტკომის მდივანმა ვანო ჭიღლაძემ, — იმან განაპირობა, რომ დილის რვის ნახევარზე ქარხნის შესასვლელში თავი მოიყარეს არაფორმალური გაერთიანებების წარმომადგენლებმა. ისინი აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებით მოუწოდებდნენ ჩვენს მშრომელებს გაფიცულიყვნენ. რაკი იქ დიალოგის გამართვის საშუალება არ იყო, ვთხოვეთ კლუბში შევკრებილიყავით და იქ გვემსჯელა ყველა საკითხზე. თანაც ისე, რომ ყველას ჰქონოდა საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

კრებაზე მათაც ილაპარაკეს და ჩვენი ქარხნის წარმომადგენლებმაც. გადაწყდა საამქროთა მიხედვით გამართულიყო კრებები და მათზე აერჩიათ თავიანთი თითო წარმომადგენელი, რომელთა მონაწილეობითაც გაერთიანების ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად გულდასმით განიხილავდა ყველა საკითხს, ამჟამად ჩვენს მშრომელებს და საერთოდ ნებისმიერ ქართველს რომ აწუხებს.

რაც მთავარია: ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს ჩვენს მშრომელებთან საუბრებითაც ხაზგასმით გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად აღიქვამენ შექმნილ სიტუაციას, გრძნობენ, რომ სწორედ ახლა, როდესაც აფხაზეთში თუ სხვაგანაც ზოგიერთი მოშურნე ისევ ცდილობს ვითარების გაუარესებას და კომენდანტის საათის შემოღებას, განსაკუთრებით საჭიროა მდგომარეობის ნორმალიზება, რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცება.

პარტიული კომიტეტის მდივნის ამ სიტყვების სისწორეში ეზოში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ მუშებთან გასაუბრებითაც დავრწმუნდით.

— ორმოცდაორი წელია ამ ქარხანაში ვმუშაობ, — გვითხრა მექქსე მოსამზადებელი საამქროს ხარატმა ლევან გაბრიაძემ. — ამ დილითაც ჩვეულებრივ შევედი სამუშაოზე. შესასვლელთან ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ, გაიფიცეთო, მოგვიწოდებდნენ. კარგად მესმის მათი, და ჩვენი საერთო სატკივარიც სხვებზე ნაკლებად არ მაწუხებს. ბოლოს და ბოლოს, ყველანი ხომ ქართველები ვართ! მაგრამ უშველის კი საქმეს გაფიცვა? და კიდევ, ერთი რამ, რომელიც ჩემი მუშური ჭკუითა და განსჯით მთლად სასურველი არ უნდა იყოს: როდესაც ვიკითხე მოსულთა ვინაობა, სხვადასხვა არაფორმალური პარტიისა და გაერთიანების წარმომადგენლები არიანო, მითხრეს. ჰოდა, ის არ მომეწონა, რომ, როცა ერთმა მოსულთაგანმა, მაგალითად, თქვა მიტინგი აი, ამ ადგილას მოვაწყოთო, მეორემ სხვა ადგილი ირჩია, ერთი ერთს ამბობდა, მეორე — მეორეს. არ ვარგა ასე. ერთი აზრი და ერთიანი მოქმედებაა საჭირო, თორემ, ღმერთმა დაგვიფაროს და, შესაძლოა იმ ჯიუტი თხების მსგავსადაც მოგვივიდეს, ერთმანეთს გზა რომ არ დაუთმეს...

გუშინ რთული მდგომარეობა იყო რუსთავის სამრეწველო საწარმოებშიც. დილიდანვე ქალაქში ავტობუსები არ მოძრაობდნენ. ამის გამოც გაუჭირდა ბევრ ქარხანას.

— ვიდრე პირველი ცვლის მუშები ზოგი ფეხით, ზოგი ჩვენი ტრანსპორტითა თუ პირადი ავტომანქანებით მოვიდოდნენ, ღამით მომუშავეებს ვთხოვეთ დარჩენილიყვნენ დილის 9—10 საათამდე, რათა წარმოების ციკლი არ შეწყვეტილიყო, გვითხრეს მეტალურგიულ ქარხანაში.

ანალოგიური მდგომარეობა იყო „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებაშიც. ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში კი, როგორც იქაური დირექტორის მოადგილემ ომარ კაპანაძემ გვითხრა, გუშინ პროდუქცია არ გამოუშვიათ. მცირეოდენი მუშახელით ისღა მოახერხეს, რომ ინარჩუნებენ ტექნოლოგიურ რეჟიმს, რომლის დარღვევა საწარმოს დიდად და დიდი ხნითაც დააზარალებს.

საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს

აფხაზეთის ამბებმა გავლენა მოახდინა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო ციკლზე. ტყვარჩელის ქარხნის დოლომიტის შახტის გაჩერების გამო საწარმომ ივლისში სულ 800 ტონა მადანი მიიღო გათვალისწინებული ათი ათასი ტონის ნაცვლად.

— დოლომიტის მადანი ჩვენი მარტენის ღუმლებისათვის საკაზმე მასალაა, — გვითხრა ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ სამთო წარმოებაში გიორგი ლაშქარაშვილმა. — გარდა ამისა, დაახლოებით 5 ათას ტონა დოლომიტის ფხვნილს ყოველწლიურად ვუგზავნით სოფლქიმიის საწარმოებს. ახლა მთელ ამ საწარმოო ჯაჭვს დაშლის საფრთხე შეექმნა. სერიოზულ წუხილს იწვევს ის ფაქტიც, რომ ტყვარჩელში ჩვენს მაღაროსთან შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი.

სიტუაციის ნეიტრალიზება ჯერჯერობით შეგვიძლია ქარხნის ერთი თვის რეზერვის — დაახლოებით თერთმეტი ტონა დოლომიტის მეოხებით. თუ მადნის მოწოდება ტყვარჩელიდან კვლავ შეფერხდა, იძულებული ვიქნებით მკვეთრად გავააქტიუროთ აბანოს დოლომიტის მაღაროს საქმიანობა, რომელიც ქარელის რაიონშია. მაგრამ რუსთაველი მეტალურგები იმედს გამოთქვამენ, რომ ქართველები და აფხაზები ღირსეულად გაართმევენ თავს შექმნილ კრიზისს, საკადრის პასუხს გასცემენ გადაგვარებულთ, რომლებიც პროვოკაციულად აღვივებენ ეროვნებათშორის კონფლიქტს, რესპუბლიკას დაუბრუნებენ ნორმალური შრომისა და ცხოვრების რიტმს.

(საქინფორმი).

აფხაზეთის ამბების გამო

პასუხი უნდა გაეცეს კითხვას—რატომ?

სოხუმში უქმური ამინდია, ულის გამაწვრილებლად ქიხულავს, მღვრიე ტალღები ხმაურით ეხეთქება ნაპირს და ისედაც პირქუშ განწყობილებას ამძაფრებს. გაუკაცრიელებულ ქუჩებში ხანდახან თუ გაიხრიგინებს ტროლეიბუსი — აქ რამდენიმე ხაზზე მოძრაობა აღდგა. თუმცა, ჯერ ბნელია და ეს შთაბეჭდილებაც მატყუარაა. ქალაქში სულაც არ არის სიცოცხლე ჩამკვდარი: ადამიანები ფხიზლად, დაძაბულად და ნერვულად აყურადებენ, ცხოველად აღიქვამენ ყოველ მოვლენას.

უმალ გავრცელდა სოხუმის საქალაქო ტრანსპორტის პარკის დასახმარებლად თბილისიდან „იკარუსებისა“ და „ლაზების“ კოლონის ჩამოსვლის ამბავიც. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების 20 ავტობუსისაგან შემდგარმა ამ ავტოქარავანმა გუშინ ჩამოაღწია და დღეს, 24 ივლისს, უკვე შეუდგა საქმეს — მარშრუტებზე გავიდა. 22 მძღოლი და ერთი ავტოშემკეთებელი აქ მანამდე იმუშავებს, სანამ ამის საჭიროება იქნება. ჯგუფს ხელმძღვანელობენ დედაქალაქის მე-4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარი ინჟინერი ბორის იოსავა, მე-8 ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლონის უფროსი დავით კვიტაშვილი და №2662 ავტოკოლონის მთავარი დისპეტჩერი ვეფხია დევიძე. მათი ქალაქის ქუჩებში გამოჩენა დიდი დახმარებაა სოხუმელი მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომელთა მოზრდილი ნაწილიც უკვე შეუდგა მუშაობას. შეფერხებებით, მაგრამ მაინც ინტენსიურად მოქმედებს აეროპორტი, საზღვაო სადგური, სამარშრუტო ტაქსები.

გუშინ გაფიცვა შეწყვიტა სალოკომოტივო დეპომ. ამან, რომ ლიტყვიან, სულზე მიუსწრო სოხუმის რკინიგზის კვანძს, სადაც უმძიმესი მდგომარეობა იყო შექმნილი. დეპოელებმა, რომლებმაც 15 ივლისს შუადღისას, დაიწყეს საპროტესტო აქცია, და მოშიმშილეებმა, რომლებიც მასში 18 ივლისიდან ჩაერთვნენ, 23 ივლისს, ადრე დილით ორგანიზებულად შეწყვიტეს გაფიცვა.

მანამდე მათთან მივიდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ანჩაბაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები პ. ჩხეიძე და ვ. ლორთქიფანიძე, გააცნეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წინადღით გამართული პლენუმის შედეგები, საქართველოსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი რთული მდგომარეობა, ელაპარაკნენ იმ დიდ ეკონომიკურ ზარალზე, რომელიც გაფიცვას მოჰყვა, და სთხოვეს შესდგომოდნენ მუშაობას.

საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ მურმან სხულუხიამ ამხანაგების სახელით განაცხადა:

— ჩვენი მთავარი მოთხოვნა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადადგომის თაობაზე ძირითადად შესრულდა. რა თქმა უნდა, ღიად რჩება ჩვენს მიერ წამოყენებული მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა, მაგრამ, ვითვალისწინებთ რა მთელ საქართველოში შექმნილ საგანგებო მდგომარეობას, გაფიცვას ვწყვეტთ და მუშაობას ვიწყებთ. ამასთან, კვლავ დაბეჯითებით მოვითხოვთ ყველა წამქეზებლისა და მოთავის, მტრობის მთესავის, ვინც უნდა იყოს იგი — აფხაზი თუ ქართველი — გამომჟღავნებას და მკაცრად დასჯას, იარაღი უნდა ჩამოერთვას ყველას. ჩვენც, ყველა ეროვნების მუშებიც ჩაგვრთონ წესრიგის დაცვის სამსახურში.

სოხუმის სარკინიგზო კვანძი მთელი დატვირთვით ამუშავდა.

მაგრამ მთავარი კითხვა — როგორ ვიცხოვროთ ხვალ? — ჯერჯერობით ღიად რჩება.

მოსახლეობის ქართული და აფხაზური ნაწილის აზრი უმთავრეს საკითხში ერთგვაროვანია — უნდა შეწყდეს სისხლისღვრა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. მაგრამ აქ კვლავ იმდენი მწვავე პრობლემაა ღია ჭრილობასავით, რომ რეალური გამონაშუქი ჯერ კიდევ არ ჩანს.

ალბათ, პირველ ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცეს უამრავ „რატომს“, რომლებსაც კატეგორიულად აყენებს ხალხი და ასევე კატეგორიულად ითხოვს პასუხს:

— რატომ მოხდა მუხანათური შეიარაღებული თავდასხმა ქართველებზე, რა გზით შეიძინეს აფხაზმა ექსტრემისტებმა საბრძოლო იარაღი, ვინ დგას ყოველივე ამის სათავეში?

— რატომ ვერ შეიტყვეს და დროულად ვერ აღკვეთეს შინაგან საქმეთა ორგანოებმა მოსალოდნელი, კარგად ორგანიზებული გამოსვლა. რატომ ვერ დაიცვა რესპუბლიკის ხელისუფლებამ თავისი მოქალაქენი, რატომ არის იგი უმწეო, უძლური ავტონომიურ რესპუბლიკაში?

— რატომ არ გაეცემა საბოლოო საკადრისი პასუხი „ლიხნის წერილს“ და რითი არიან „დაჩაგრულები“ აფხაზები; ბოლო მოეღება თუ არა მანკიერ საკადრო პოლიტიკას?

ეს და კიდევ სხვა უამრავი „რატომ“ აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაისმის. მას მხოლოდ ცალკეული მოქალაქენი როდი სვამენ. იგივე საკითხებია დაყენებული რეზოლუციაში, რომელიც 23 ივლისს სოფელ ბესლეთში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებთან პ. ჩხეიძესთან და ვ. ლორთქიფანიძესთან, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანთან ლ. ხაბურზანიასთან, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან ი. მენაღარიშვილთან სოხუმის რაიონის საზოგადოებრიობის შეხვედრისას მიიღეს. ამ შეხვედრაში 5 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, მათ შორის — სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც.

იგივე საკითხებია წამოჭრილი გულრიფშის რაიონის საზოგადოებრიობის წერილ-პეტიციაშიც, რომელსაც უკვე ათიათასობით კაცმა მოაწერა ხელი.

იგივე აღელვებდა 23 ივლისს პარტიის საოლქო კომიტეტის წინ თავმოყრილ სოხუმელ მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ესაუბრნენ...

— ორივე მხარე უნდა განიარაღდეს, აქ სხვა აზრი არ არსებობს. ცნობილია, როგორ მოიპოვეს იარაღი ქართველებმა — გაიტაცეს. ეს იძულებითი თავდაცვითი ღონისძიება იყო. აფხაზი ექსტრემისტები კი, აშკარაა, დიდხანს და საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. ჩვენ გარანტირებული უნდა ვიყოთ, რომ თავდასხმა, მსგავსი დანაშაული ქართველი ერის წინაშე აღარ განმეორდება. რომ ხალხი მშვიდობიანად იცხოვრებს მამა-პაპათა მიწაზე, დროულად და სამართლიანად უნდა მოგვარდეს ყველა საკითხი, რათა კონფლიქტებში აღარ გადაიზარდოს, როგორც ეს აფხაზეთის უნივერსიტეტში მოხდა. სოხუმში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები გადადებულია გაურკვეველი ვადით. ვიმედოვნებთ, როცა, ბოლოსდაბოლოს, ეს დღე დადგება, ფილიალშიც მისაღები გამოცდები ნორმალურად, ყველა სათანადო პირობების შექმნით წარიმართება — გვითხრა საუბრისას მხატვარმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის მასწავლებელმა სოსო ადამიამ, ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ჯუმბერ ხუბუტიამ. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კათედრის მასწავლებელმა გენადი ბელქანიამ, კოლეგამ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთიდან“ ანზორ გვარამიამ, მუშამ მერაბ გელაშვილმა და სხვებმა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრესცენტრი და რესპუბლიკური გაზეთების საკორესპონდენტო პუნქტები აზრთა გაზიარებისა და სახელდახელო განსჯის ადგილია, სადაც თავს ვიყრით ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტები. აქვე, პრესცენტრში განვიხილეთ გულრიფშის რაიონის სომეხი მოსახლეობის წერილ-მიმართვა, რომელიც გაზეთ „სოვეტსკაია აფხაზიას“ 22 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა. იქ წამოყენებულია კონკრეტული, საგულისხმო წინადადება: ვითარების მოსაწესრიგებლად შეიქმნას ერთაშორისო შერიგების კომიტეტი აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელთა — მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, უხუცესთა შემადგენლობით.

ვილაპარაკეთ იმაზეც, თუ რა შინაარსიანი გადაცემა მოაწყო 22 ივლისს აფხაზეთის ტელევიზიამ. ეკრანი დაუთმო სამ მანდილოსანს: აფხაზზე გათხოვილ ქართველს, ქართველთა რძალ აფხაზს და რუსს. მათ გულმხურვალედ მიმართეს ქალებს, მოსახლეობას: ყველა ღონე იხმარონ, რათა ამოიძირკვოს ოდითგან დამოყვრებულ ორ ერს შორის უწმინდური ხელით დათესილი მტრობა და ღვარძლი. თუმცა, ეს კარგი შთაბეჭდილება მალე გააქარწყლა ვეტერანი ოფიცრის გამოსვლამ, რომელიც შერიგებისაკენ კი მოუწოდებდა ხალხს, მაგრამ არ დაუხანებია ისიც ემცნო ტელემაყურებლისათვის, ვითარებას საბრძოლველად განწყობილი ქართველი ექსტრემისტები ამწვავებენო და კვლავ კომენდანტის საათის შემოღება მოითხოვა.

კომენდანტის საათი მრავალი აფხაზი ეროვნების მოქალაქის აზრით, რატომღაც, მდგომარეობის ნორმალიზაციის ერთადერთი საშუალებაა. არ გვინდა ტენდენციურები ვიყოთ, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ კომენდანტის საათის მოთხოვნა რაღაც გარკვეულ მიზანს ემსახურება. იმის მაგალითებიც არის, რომ საამისოდ ზოგ-ზოგი არც უკადრის საშუალებას ერიდება.

პარტიის საოლქო კომიტეტის წინ აღშფოთებული მანდილოსნების დიდ ჯგუფს შევხვდით. რკინიგზის ქუჩის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ, ხელმძღვანელობასთან შეხვედრას ითხოვდნენ. ისინი გვერდით მოსახლე ქალის პროვოკაციას გაემწარებინა, რომელსაც უბანში ხმაური აეტეხა — მეზობლები შემომიცვივდნენ და მცემესო — თუმცა მოსულთაგანს ერთ-ერთს, 15 ივლისს, რუსთაველის სახელობის პარკში თავშეყრილ ხალხზე თავდასხმის დროს უსაშველოდ ნაცემი ქმარი და მაზლი უწევს საავადმყოფოში, მეორე კი თვალცრემლიანი ჰყვება თანშეზრდილი მეზობელი ბიჭების — დაჭრილი ორი ძმის ამბავს, თუმცა სხვებსაც ჰყავს დაზარალებული ახლობლები, არავინ კომენდანტის საათს არ ითხოვს და არც რაიმე აუგს ამბობს აფხაზ ხალხზე. ისინი მხოლოდ წამქეზებლების, მოთავეების დასჯას ითხოვენ, რომლებმაც ასე წაჰკიდეს ერთმანეთს კარის მეზობლები.

ვნებათაღელვა აფხაზეთში თანდათან ცხრება, მაგრამ საერთო მდგომარეობა კვლავ რთულია. არის ხანძრების შემთხვევები. ვარაუდობენ, რომ მათი უმრავლესობა განზრახ არის მოწყობილი. ამ ორ დღეში რაიმე შეიარაღებული შეჯახება არ ყოფილა, მოსახლეობის ნაწილი ნებაყოფლობით აბარებს იარაღს.

* * *

„კომუნისტის“ 23 ივლისის ნომერში დაბეჭდილ ჩვენს მასალაში „კომენდანტის საათი არ იქნება“, ტელეფონით კარნახისას ჩაწერის დროს დაშვებულია უნებლიე შეცდომა: აფხაზეთის ხელმძღვანელობის თხოვნით ავტონომიურ რესპუბლიკაში შემოყვანილია შინაგანი ჯარების არა 20 ათასი, არამედ 4 ათასი სამხედრო მოსამსახურე.

ალეკო ასლანიშვილი,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი;
იოსებ გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.
სოხუმი. 24 ივლისი.

ამ დღეთა ქრონიკა

ზუგდიდი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად ვითარება ქალაქ ზუგდიდსა და მის ახლომდებარე რაიონებში კონტროლს ექვემდებარება. ამ რაიონებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად მივლინებული არიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ახლომდებარე შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების თანამშრომლები და მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის კურსანტები.

ზუგდიდსა და მის ახლომდებარე რეგიონებში გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ჩამორთმეული და მოსახლეობის მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებულია 315 ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 26 ავტომატი, 11 სხვადასხვა სისტემის პისტოლეტი, 1 კარაბინი, 277 სანადირო თოფი, დიდძალი ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებები. დაპირებისამებრ, იარაღის არც ერთი ნებაყოფლობით ჩამბარებელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა.

ოპერატიული ვითარების გამწვავებამ ზუგდიდსა და მის მეზობელ რაიონებში ზოგიერთ ბოროტმოქმედს ხელი შეუწყო ჩანაფიქრის შესრულებაში. კერძოდ, წალენჯიხის რაიონული მილიციის მუშაკებმა მიიღეს შეტყობინება, რომ ერთ-ერთ სოფელში ავტომანქანა „ჟიგულით“ დასეირნობდნენ შეიარაღებული ახალგაზრდები, რომლებიც სოფლის მოსახლეობას ართმევდნენ იარაღსა და ფულს.

შემთხვევის ადგილზე მისულ ოპერატიულ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ წალენჯიხის რაიმილიციის თანამშრომლები, დამნაშავე ელემენტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ოპერატიულმა ჯგუფმა გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი, რის გამო მსუბუქად დაიჭრა ავტომანქანის მძღოლი, ქ. ზუგდიდის მცხოვრები ო. გულორდავა. მას ადგილზე გაუწიეს პირველადი სამედიცინო დახმარება და მოათავსეს წალენჯიხის საავადმყოფოში. რაც შეეხება დანარჩენებს, ბ. ბერიშვილი, ზ. გუნია და დ. ლომთაძე დაპატიმრებული არიან. ჩხრეკის დროს ოპერატიულმა ჯგუფმა დამნაშავეებს ჩამოართვა უცხოური მარკის ცეცხლსასროლი იარაღი 8 საბრძოლო ვაზნით, ასევე გარკვეული თანხა და იმ მოქალაქეთა სია, ვისგანაც აიღეს ფული. აღნიშნული ფაქტის გამო მიმდინარეობს ძიება.

აფხაზეთში შექმნილ რთულ სიტუაციასთან დაკავშირებით ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე იმართება ხალხმრავალი უსანქციო მიტინგები. მომიტინგეები გმობენ აფხაზ ექსტრემისტთა სისხლიან აქციას, სიმშვიდისა და გონიერებისათვის მოუწოდებენ თითოეულ მოქალაქეს, მაგრამ ამავე დროს მიტინგების დროს ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი. 21—22 ივლისს ზუგდიდის ტერიტორიიდან დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს ერთი მსუბუქი და 2 სახელმწიფო სატვირთო ავტომანქანა.

22 ივლისს გვიან ღამით შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო განყოფილებაში კვლავ გამოჩნდა ლტოლვილთა ერთი ჯგუფი ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარიდან. სოფლის თავკაცებმა 50 ბავშვი, ქალი და მოხუცი გამოარიდეს აფხაზი ექსტრემისტების მოსალოდნელ თავდასხმას.

მიუხედავად ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელობის თხოვნისა, თავისი ნებით ჩააბარონ ცეცხლსასროლი იარაღი, მოქალაქეთა ერთ ნაწილს არ სურს გატაცებული სანადირო თოფების, ტყვია-წამლის ჩაბარება. ამიტომ შინაგან საქმეთა ორგანოები იარაღის ჩამორთმევის იძულებითს ღონისძიებებს ახორციელებენ.

ვაჟა ჩაჩიბაია.

ფოტორეპორტიორის თვალით



ძნელია სიტყვებით გადმოსცე ის წრეგადასული სისასტიკე, ულმობლობა, რომელიც სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის №1 საშუალო სკოლაში დაატრიალეს გამძვინვარებულმა აფხაზმა ექსტრემისტებმა 15 ივლისის ღამეს. დიახ, აქ, ამ სკოლაში, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი დაბინავდა და ის-ის იყო მისაღები გამოცდებისათვის ემზადებოდა, მათ ნაცარტუტად აქციეს ყველაფერი: უმოწყალოდ სცემეს კომისიის წევრებს, დალეწეს ავეჯი, იავარჰყვეს ოთახები. სურათზე, რომელიც „ბრძოლის“ შემდეგაა გადაღებული, ნათლად ჩანს „ბარბაროსული“ ნაკვალევი.

თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი) ფოტო.

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

აფხაზურმა პოლიტიკურმა სერიალებმა და განსაკუთრებით, საქართველოს გარეთ ან საქართველოშივე მოქმედ ანტიეროვნულ ძალებთან ამ ქესტების სისტემატურად შეთანხმებულმა ხასიათმა — ქართველი ერი დააყენა უმძიმესი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ფსიქოლოგიური და ზნეობრივი განსაცდელის წინაშე.

ჩვენ ზედიზედ გვიხდება შეურაცხმყოფელი აქციების გადატანა, ცილისწამებისა და პროვოკაციების მოთმენა. გადაულახავი ძალმომრეობის წინაშე უძლურების გამო, ერი ზედიზედ ასრულებს დამამცირებელი კომპრომისების რიტუალს.

დღემდე სუვერენობის გენოფონდით დამუხტულ ეროვნულ ფსიქიკაში ყოველი უსამართლო და უზნეო კომპრომისი ილექება, როგორც ვულკანის ფსკერზე, რომლის წიაღშიც იმმუშნება შურისძიების გავარვარებული მაგმა, ზედაპირს უკვე ატორტმანებს ყრუ ბიძგები, მოისმის ავისმომასწავებელი ხმები.

ერი ფსიქოლოგიურად ვერ დაუშვებს, რომ მას ყოველ წუთს ურტყამდნენ თავში, აბუჩად იგდებდეს ვისაც მოესურვება, განუკითხავად ეუფლებოდნენ მის მიწა-წყალს, ფიზიკურად სპობდნენ პროტესტის არა მხოლოდ გამოხატვის, არამედ გაფიქრების გამოც.

რჩება მოთმინების ძაფების უკანასკნელი ღერები და თითქოს სხვა განსაცდელები გვაკლდაო, ისტორიის ბოროტების დემონმა გასაწყვეტად ამ ძაფებს ახლა აფხაზი ექსტრემისტები შეუჩინა — აქცია რა ისინი თავისი ზრახვების ბრმა იარაღად.

შემოგვიჩინა ჩვენი ტრადიციის გაგებით, კულტურით, ფსიქიკით, ჩვენივე ნათესავი, მისი არსებობის ჩვენს არსებობაზე დამოკიდებული ხალხი, ჩემი მომავლის გარეშე სრული უმომავლობისთვის განწირული ჩვენივე თვისტომი.

მითი რუსეთის მხრივ ისტორიული საქართველოსთვის აფხაზეთის ჩამოჭრისა და რუსეთისთვის მიერთებისა, რაც ისევე საბედისწეროა აფხაზური ეთნოსისთვის, როგორც ქართველი ერისთვის — პოლიტიკური რეალიზმის ლოგიკით, არარეალურია.

მაგრამ რეალურია ის, რომ ჩვენს თვალწინ სრულდება აფხაზური ცნობიერების ქართული და ამდენად, საკუთარი ძირებიდან მოწყვეტის აქცია.

ამ გზით ჩვენიც და მათიც ადვილად გაქრობის სიუჟეტს, როგორც ჩანს, ახლა აფხაზეთში არავინ დაგიდევთ!

ეს მოვლენა იმ ხანგრძლივი და პოზიციური ბრძოლის შედეგია, რომელიც ცარიზმმა აფხაზეთის 1878 წლის ტრაგედიის [რუსეთ-ოსმალეთის ალიანსი] პრაქტიკულად ხორცშესხმის შემდეგ დათესა, იდეოლოგიის სფეროში გადმოიტანა, ზარდა, უბერა სული.

რევოლუციის შემდეგ საქართველოს ოკუპაციისათვის მზადების პერიოდში ამ მოვლენას, როგორც პროცესს გუნდრუკი უკმიეს იოსებ ჯუღაშვილმა და სერგო ორჯონიკიძემ, აგრეთვე მათმა თანამზრახველმა ბოლშევიკებმა, რომელთა რაზმსაც ისევე „ამშვენებდნენ“ აფხაზები, როგორც ქართველები. აფხაზეთი მათ ესახებოდათ საქართველოს საოკუპაციო პლაცდარმად დასავლეთიდან.

ამიტომ ქართული ცნობიერება, რომელიც ჯერ კიდევ ფეოდალური საქართველოს რაინდული კოდექსის დონეზე აღიქვამს აფხაზს, როგორც თავის უკეთილშობილეს თვისტომს [გაიხსენეთ ქართული მწერლობისა და ისტორიოგრაფიის ტრადიციები!] თანამედროვე აფხაზი ექსტრემისტების ანტიქართულ აქციას აღიქვამს ღალატად (განიხილავს რა მათ მთლიანი საქართველოს კონტექსტში)—ნაწილობრივ უკვე რეალური მოვლენებისაგან ჩამორჩენილ განწყობად თუ ეთიკურ რწმენად გამოიყურება. თუ ამგვარ ვითარებას საქართველო-აფხაზეთის ისტორიის შემოქმედი აფხაზი ან ქართველი შეურიგდა, დაყვა, დანებდა დღევანდელი გაკვეთილი მოგონილი იქნება იმ ტრაგედიასთან, რაც გველის წინ.

დავუფიქრდეთ ამას!

ასეთ შემთხვევაში ჩვენც და აფხაზებიც კაცობრიობის წინაშე წარვდგებით არა ჩვენი ისტორიული სახით, არამედ ჰომუნკულუსივით ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში გამოყვანილ ახალ ჯიშად, რომელიც აღბეჭდილია მანქურთიზმის სიმპტომებით.

რატომ მანქურთიზმით?

მანქურთიზმით იმიტომ, რომ მანქურთი ეკედლება იმას, ვისაც უნდა გაურბოდეს და გაურბის იმას, ვისაც უნდა ეკედლებოდეს. მანქურთი კლავს იმას, ვისგანაც აქვს სიცოცხლე, და სიცოცხლეს აძლევს იმას, ვისაც წაართვა საცხოვრისი.

მანქურთს აქვს თავისი რწმენა და მტრისაგან დაპროგრამებული „მტრის ცნების ყველაზე ცრუ, მოჩვენებითი და უმახინჯესი გაგება. მტრისა, რომლის კონტურებშიც აფხაზური პოზიციიდან ჩანს საქართველოსა და ქართველის სახე, ხოლო ქართველის სათვალთმჩენოდან, ამჯერად, აფხაზისა. ამგვარი მანქურთი მოქმედებს თავისი რწმენის შესაბამისად. რწმენა ლოგიკას და ცოდნას არ ექვემდებარება. აი ტრაგედიის სათავე.

ჩვენც, აფხაზებმაც და საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნულმა უმცირესობამ, თუ ერთად არ გავიაზრეთ, რომ ჩვენ კი არა ვართ ერთმანეთის მტრები, არამედ მტრის წადილია ასეთებად ჩვენი ქცევა, ჩვენ შორს ვერ წავალთ. აი, ისტორიის მიერ ჩვენი ზნეობრივი და ინტელექტუალური დონის საგამოცდოდ შემოთავაზებული კითხვა.

ახლა ის დრო არ არის, როცა ადვილი იყო იმათი აყოლა, რომლებიც „ხალხის მტრის“ ცნებას უმარტივეს ანკესზე აგებდნენ და აკონკრეტებდნენ კლასობრივი პოზიციებიდან. მტერი იყო თავადი და აზნაური, ინტელიგენტი და ბურჟუა, კულაკი და შეძლებული გლეხი, ხოლო ისტორიის შემოქმედი გმირი უსამშობლო პროლეტარი და ბოგანო მოჯამაგირეები.

მადლობა ღმერთს, ჩვენივე თვალით ვნახეთ, ვიწვნიეთ, ვეზიარეთ, მათგან აშენებული ქვეყნის სამართალს და ავკარგიანობას.

რა ვაკეთოთ?

ქართველთა მხრივ აფხაზზე, როგორც ოდესღაც ნათესავზე, შურისძიებაში არაფერია საამაყო და სასახელო, არც შინ და არც გარეთ.

არ ვიცი, აქვთ თუ არა ეს შეგნებული აფხაზებს? იქნება ეს მხოლოდ მათი დამპროგრამებლების ცბიერი ცოდნა და წადილია, მაგრამ ფაქტია, რომ მტრისგან გაოგნებული ამგვარი აფხაზები ქართველთადმი უგონო ტერორით ეთამაშებიან სიკვდილს უფსკრულის პირას.

დავუფიქრდეთ ამგვარ პერსპექტივას!

ამას მალაპარაკებს ის ფაქტი, რომ გამაუცხოებელმა საწყისებმა აფხაზეთში უკვე მიაღწიეს საქართველოს ეროვნული ძალების პროვოცირებას. იწყება ისტორიის ასპარეზზე ქართველი ერის უკონტროლო ირაციონალური ხალხური ძალების გამოხმობის ტრაგიკული პროცესი.

ეს ნიშნავს, რომ მთავარი პრობლემიდან ასაცდენად ქართველ ერს ცრუ სამიზნეების დაცხრილვაზე დაეკარგოს ძალები.

უკვე მერამდენედ საქართველოს ისტორიის ცარგვალზე ხარხარებს მეფისტოფელი და ეროვნული ენერგიის ყოველ ახალ ტალღას მიექანება უფსკრულისაკენ.

სიტუაცია ტრაგიკულია.

მოთმინება შეუძლებელია, მოუთმენლობა — კატასტროფული, სამარცხვინო, დამამცირებელი. მორიგი კომპრომისი უდრის სიკვდილს, ამგვარი გამარჯვება — დამარცხებას.

ასეთია ობიექტური ვითარება!

ამ ვითარებას კიდევ გაუმკლავდებოდა ქართული ეროვნული გონი, რომ ეს იყოს ბრძოლის ერთადერთი ასპარეზი.

შევაფასოთ ჩვენი თავი არა მხოლოდ დღევანდელობის, არამედ მომავლის საზომითაც!

ჩვენ არავის ვავედრებთ თავს და არც არავისკენ ვიწვდით ხელს შემწეობისათვის. ჭირთათმენის სკოლაც გავლილი გვაქვს და სათანადო იმუნიტეტიც გამომუშავებული;. ისევე როგორც თქვენ.

ბედმა და ზოგ შემთხვევაში პოლიტიკური სიტუაციებისათვის მოუმზადებელმა შეხვედრამ ერთდროულად გაგვიჩინა რამდენიმე ცეცხლოვანი კერა. „აფხაზური კოზირი“ საქართველოს ფრონტებზე ერთდროული შემოტევების დროსაა შემოგდებული.

დავუფიქრდეთ ამას!

იკვეთება ქართველი ერის აგონიაში ჩაგდებისა და განუსჯელი ინსტიქტებით მოქმედების პერსპექტივა...

ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ პერსპექტივისათვის ასპარეზის მისაცემად ჩვენი „მტრები ქართულ-აფხაზური კონფლიქტიდან ცდილობენ გამოკვეთონ ჯალათისა და მსხვერპლის პოლიტიკური სიუჟეტი.

საქართველოსთვის მზადდება ჯალათის ამპლუა, აფხაზეთისთვის — მსხვერპლისა.

მითოლოგიაში ჯალათი და მსხვერპლი, ისევე როგორც მდევარი და დევნილი, მჩაგვრელი და ჩაგრული, დიალექტიკურად დაპირისპირებულთა ერთიანობის მეტაფორებია.

მოვიხმოთ გონება და დავუფიქრდეთ, რომელ და რაში დაპირისპირებულთა ერთიანობაზე შეიძლება ლაპარაკი საქართველოსა და აფხაზეთის შემთხვევაში?

ვინ გათიშა აფხაზი ქართველისგან განურჩევლად იმისა ცხოვრობს ის თბილისში თუ სოხუმში?

თუ ამ ქვეყნად სიმართლე და ისტორია მართლა ჩალადაც არ ღირს, ვინ მიიჩნია აფხაზი სტუმრად საქართველოში და ქართველი — აფხაზეთში?

რა დონეზე უნდა იდგეს საზოგადოება, საქართველოსა და აფხაზეთის მაგალითზე რომ მიაღწიოს დაპირისპირებულთა ერთიანობის წყვილის შექმნას?

ჩვენს საოჯახო ხიფათებზე ნურვის შევუქმნით იმ აზრს, თითქოს აფხაზეთი იყოს საქართველოდან იზოლირებული ქვეყანა, რომელსაც არც ისტორია, არც ფასეულობათა სისტემა, არც საერთო ხვედრი არა აკავშირებს საქართველოსთან, ხოლო საქართველოს — აფხაზეთთან.

თუ მართლა დაპირისპირებულთა ერთიანობაზე მიდგა საქმე განა სხვას რას ჩაგვჩიჩინებს ისტორიული პრაქტიკა, თუ არა იმას, რომ ჩვენი ძლიერების სათავე მუდამ იწყებოდა იქ, სადაც ერთად ვუპირისპირდებოდით სხვას, ხოლო უძლურებისა იქ, სადაც მტერი ახერხებდა ჩვენს დაქუცმაცებას.

ყოველმა აფხაზმა უნდა უწყოდეს რომ აფხაზეთის ფარი, ზურგი და საყრდენი — საქართველოა! ვიდრე საქართველოა აფხაზური ფენომენიც დაცულია.

ვინც უსაქართველო აფხაზეთზე ოცნებობს აფხაზების სულის ამოხდომის დღეც გათვლილი აქვს!

ჰაჯი უსუბის, თარაშ ემხვარის, კაც ზვამბაიას, უჯუ ემხვარსა და ჰაკი აძბას ამბობს ქართული ცნობიერება ყოველთვის აღიქვამდა საკუთარი ღირსების, სიამაყის, სისხლის ყივილის ვერსიად, ვარიანტად, ფორმად. მათი მემკვიდრეების ამბოხი ქართველისათვის თხემით ტერფამდე გასაგები, ნაცნობი, მშობლიური და მისაღებიც იქნებოდა, რომ ჯერ ერთი, სწორი მისამართი ჰქონოდა და მეორეც, ინსპირატორთა სტილისტიკით არ იყოს გაზავებული.

ნურვისგან დაველოდებით იმის გარკვევას, რომ თითიდან გამოწოვილ ამ სიუჟეტში ერთი ცრუ ჯალათი აღმოაჩნდება, მეორე ასევე ცრუ მსხვერპლი. როცა ეს სიტუაცია მშვიდი განსჯის საგნად იქცევა, ისტორიის დემონს უკვე აღსრულებული ექნება თავისი ბნელი ზრახვა. ამასობაში კი სპექტაკლიც გასრულდება. და დამარცხებულნი ვიქნებით ორივენი. ამის შემდეგ, ალბათ, გონს მოვეგებით, იმასაც მივხვდებით, რომ თურმე მტერიც გვყოლია საერთო, ჩვენ კი ერთურთს დავრევივართ და სხვის წისქვილზე მიგვიშვია ღარი.

ეს არ უნდა მოხდეს! არ უნდა დავუშვათ საქართველოს ტერიტორიაზე ფერგანისა და ყარაბახის დუბლირების პერსპექტივა. საჭიროა საკუთარ თავზე გამარჯვება. არ ჩავიდინოთ ის, რაც მტერს სურს. „რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ“ — გვასწავლიდა პოლიტიკურ მექანიზმში ჩახედული რუსთაველი.

როგორ მოვიქცეთ?

ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით და ყოველი პოლიტიკური მანევრის გათვალისწინებით უნდა ვადევნოთ თვალი მოვლენების განვითარებას.

საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას, რომელიც სამოცდაათი წლის მანძილზე პირველად ცდილობს ფსიქოლოგიურად გაემიჯნოს ანტიეროვნულ ტრადიციებს, თუკი მას მართლა გააჩნია ძალა და სახსარი შელახული რეპუტაციის აღდგენისა, დავეხმაროთ ამ პროცესის ყველაზე ნაკლები მსხვერპლით გადაწყვეტაში.

რა თქმა უნდა, თუ ხელისუფლების მხრივ ეს არ იქნება გაგრძელება ამ საკითხის მორიგი მიფუჩეჩების, კომპრომისული თავდაძვრენის და მთლიანი საქართველოს ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის ტრადიციისა.

გიორგი გაჩეჩილაძე.

რედაქციისაგან: დღეს აფხაზეთში შექმნილი ვითარება ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას რომ იპყრობს, სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია. კრიტიკოს გიორგი გაჩეჩილაძის წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს ერთაშორისი დამოკიდებულების ზნეობრივი და ფსიქოლოგიური მხარის ანალიზს და მოიცავს მწვავე საკითხთა ფართო სპექტრს. ეს არ ნიშნავს, თითქოს რედაქცია იზიარებდეს ავტორის ყველა მოსაზრებასა და დასკვნას. პირიქით, ზოგი რამ წერილში იქნებ სადავოც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ იმ პრინციპით, რომ ჭეშმარიტებისაკენ მხოლოდ აზრთა პლურალიზმსა და გონივრულ პაექრობას მივყავართ.

უცხოეთი

საქდესი [illegible]
24 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ აშშ

პაგუოშის ფორუმი

ნიუ-იორკი. კემბრიჯში (მასაჩუსეტსის შტატი) გაიხსნა პაგუოშის კონფერენცია — სამეცნიერო საზოგადოებრიობის ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი, რომელიც პაგუოშის მოძრაობის ფარგლებში ეწყობა. მასში მონაწილეობენ მსოფლიოს 40 სახელმწიფოს წარმომადგენლები.

ასეთი ფორუმების მოწყობის ინიციატორები იყვნენ ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინი და მათემატიკოსი და ფილოსოფოსი ბერტრან რასელი, რომლებმაც 1955 წელს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთ მოუწოდეს შეკრებილიყვნენ ბირთვული ომის თავიდან აცილების პრობლემის განსახილველად. ამ მოძრაობის სახელი წარმოსდგება კანადის ქალაქ პაგუოშისაგან, სადაც 1957 წელს გაიმართა მეცნიერთა პირველი კონფერენცია.

პაგუოშის მოძრაობამ დიდი როლი შეასრულა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მობილიზებისათვის გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ საბრძოლველად, მშვიდობის განსამტკიცებლად, ხელი შეუწყო სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოებას.

ბოლო წლებში კონფერენციის მონაწილეებმა გააფართოეს განსახილველ პრობლემათა წრე. ახლანდელ ფორუმზე, როგორც ვარაუდობენ, ყურადღების ცენტრში იქნება არა მარტო ომისა და მშვიდობის თემა, არამედ გარემოს დაცვასთან, მსოფლიო ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხებიც.

● ინგლისი

ცვლილებები მთავრობაში

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი უახლოეს ორ დღეში მოახდენს სერიოზულ ცვლილებებს ქვეყნის მთავრობაში, იუწყება ტელეკომპანია ბი-ბი-სი.

კაბინეტის შემადგენლობაში შევა რამდენიმე ახალი პოლიტიკური მოღვაწე. „წმენდა“ — ჩატარდება სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში. იგი შეეხება აგრეთვე მმართველი კონსერვატიული პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებსაც.

გაზეთ „გარდიანის“ აზრით, ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის ასეთ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპარლამენტში არჩევნების და ბრიტანეთში დამატებითი საპარლამენტო არჩევნების დროს ტორთა მარცხმა. გაზეთი წერს, რომ ტეტჩერი მთავრობაში ცვლილებების შედეგად შეეცდება ძალთა გადაჯგუფებას ქვეყანაში მომავალი საყოველთაო არჩევნების წინ.

გაზეთი „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ მთავრობაში მომხდარი ძვრები ვერ მოახდენს არსებით ზეგავლენას კონსერვატორების პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსზე, რომელიც არაპოპულარულია ქვეყანაში.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ ტეტჩერმა ეს გადაწყვეტილება მიიღო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების ზეგავლენით, რაც კონსერვატორთა ავტორიტეტის დაცემას და ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის პრესტიჟის ზრდას მოწმობს.

◆ იაპონია

პრემიერი გადადგა

ტოკიო. იაპონიაში დაიწყო მთავრობის კრიზისი. ეს უკვე მეორეა ბოლო სამ თვეში. სასწრაფოდ გამართულ პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა ხოსუკე უნომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კისრულობს პასუხისმგებლობას კვირას გამართულ პარლამენტის ზედა პალატის არჩევნებში მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის (რომელსაც იგი მეთაურობს) გამანადგურებელი დამარცხებისათვის და ითხოვა გადადგომა.

კენჭისყრის შედეგების თანახმად, კონსერვატიულმა პარტიამ, რომელიც 1955 წელს შეიქმნა, პირველად დაკარგა ადგილების უმრავლესობა ამ პალატაში.

უნომ, რომელმაც მხოლოდ ამა წლის ივნისის დამდეგს შეცვალა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერისა და იაპონიის მთავრობის მეთაურის პოსტებზე ფინანსურ მაქინაციებში გარეული ნ. ტაკესიტა, აღიარა, რომ „სამომხმარებლო გადასახადის შემოღებამ, კომპანია „რიკრუტის“ გამო სკანდალმა და არჩევნებში იაპონელი ფერმერების მიერ გამოთქმულმა უკმაყოფილებამ მთავრობის აგრარული პოლიტიკის გამო მმართველი პარტია მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა“.

◆ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

რასისტული რეჟიმის პროვოკაციები ნამიბიაში

ლუსაკა. იმის მიუხედავად, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი აწყობს პროვოკაციებს ნამიბიის ტერიტორიაზე, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაიმარჯვოს მომავალ საყოველთაო არჩევნებში, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება, განაცხადა ლუსაკაში სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტმა სემ ნუიომამ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციის ძალები და „კუფუტის“ მარიონეტული ჯგუფები სასტიკ აქციებს ახორციელებენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, დაბრკოლებებს უქმნიან ნამიბიელთა რეგისტრაციას საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის. მან კვლავ მიაპყრო მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება იმას, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უშიშროების ძალებმა მოკლეს 27 მშვიდობიანი ნამიბიელი ოშაკატიში, რომელთა საფლავები ამ დღეებში აღმოაჩინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარდამავალ პერიოდში ნამიბიისადმი დახმარების ჯგუფის ძალებმა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქმედება ნამიბიაში ადასტურებს, რომ პრეტორიის ხელისუფლები იყვნენ და რჩებიან ერთადერთ ძალად, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ქვეყანაში არჩევნების გამართვას დემოკრატიულ და სამართლიან საფუძველზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ მეხიკო. გვატემალაში უკვე დაახლოებით ორი თვეა გრძელდება მასწავლებელთა საერთო-ეროვნული გაფიცვა, რომელსაც შეუერთდა ქვეყნის მთელი რიგი სახელმწიფო დაწესებულებების რამდენიმე ათასი მოსამსახურე. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და ფასების ზრდისადმი კონტროლის ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებას.

◆ ლონდონი. მილიონობით ბრიტანელმა აშკარა შვებით ამოისუნთქა, როცა დღეს ტელევიზიის ახალი ამბების დილის გამოშვებიდან შეიტყო, რომ მიაღწიეს მორიგებას ბი-ბი-სის ტელეკომპანიის ადმინისტრაციასა და პროფკავშირების ხელმძღვანელებს შორის, რომლებიც იცავენ დიდ ბრიტანეთში ამ უდიდესი რადიო და სატელევიზიო კორპორაციის თანამშრომელთა ინტერესებს, თითქმის ცხრა საათის მოლაპარაკების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ტელეკომპანიის თანამშრომელთა ხელფასი გაიზრდება 8,8 პროცენტით.

◆ ნიუ-იორკი. ორმოცდახუთი მგზავრი დაშავდა „ამერიკენ ეირლაინზის“ ავიაკომპანიის თვითმფრინავში, რომელიც მოულოდნელად მოხვდა ჰაერის ტურბულენტურ ნაკადში. ეს მოხდა შაბათს, როცა თვითმფრინავი დაახლოებით 10 კილომეტრის სიმაღლეზე ასრულებდა რეისს სან-ხუან (პუერტო-რიკო) — მაიამის (ფლორიდის შტატი) მარშრუტით.

ფოტოინფორმაცია

⊙ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. ფხენიანში დამთავრდა 105-სართულიანი სასტუმრო „რიუკენი“ (სურათზე). მასში ერთდროულად იცხოვრებს ექვსი ათასი კაცი.

წელიწადზე ნაკლები დასჭირდათ მშენებლებს, ეს ცათამბჯენი რომ აღემართათ. ფორმით იგი ჰგავს გიგანტურ სამკუთხედს, რომელიც ცაში აყურული შპილით არის აჭრილი.

საქდესის ფოტო.



ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტები

არგენტინელი ქართველს დაუძმობილდა

დამყარდა ურთიერთობა ერთობლივ საწარმოთა მშენებლობისათვის

წლეულს ივნისში, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მეღვინე სპეციალისტები სამსახურებრივი მივლინებით იყვნენ არგენტინის ერთ-ერთ პროვინციაში — მენდოსაში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სახაგრომრეწვის ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ მეხუზლა, ამავე სამსახურის მოწყობილობისა და ახალი ტექნიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვასილ სიხარულიძე, საგარეჯოს რაიონის მეღვინეობის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „სამების" მთავარი ინჟინერი ზურაბ ტყემალაძე და წარმოების უფროსი თამაზ ქლეივიძე.

დელეგაციამ მენდოსაში თხუთმეტ დღეს დაჰყო და საქმიანი კონტაქტები დაამყარა არგენტინელ კოლეგებთან...

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა დელეგაციის ხელმძღვანელს ნ. მეხუზლას და სთხოვა ეამბნა უცხოელ კოლეგებთან შეხვედრების შედეგებისა და იქ მიღებული შთაბეჭდილებების თაობაზე.

— პატივცემულო ნიკოლოზ! ჩვენი საუბარი ალბათ იმით უნდა დავიწყოთ, თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი არგენტინელი და ქართველი მეღვინეების ურთიერთობას, როგორ მოხვდით ასე შორს — ლათინურ ამერიკაში.

— შარშან, მოსკოვში, საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრში გაიმართა ქართული ღვინოების წარდგენა. ამ ღონისძიებაში საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალი ფირმის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის არგენტინელი მეღვინეებიც იყვნენ. მათ მაღალი შეფასება მისცეს ქართულ ღვინოებს და აქვე ფირმა „სამებასთან" თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. არგენტინელების მიზანი იყო უფრო ახლოს, საფუძვლიანად გასცნობოდნენ ქართულ მეღვინეობას...

მართლაც, შარშანვე, ნოემბერში არგენტინელ მეღვინეთა ერთი ჯგუფი ჩვენს რესპუბლიკას ეწვია. სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს ზვრები, ყურძნის გადამამუშავებელი და ღვინო-პროდუქციის ჩამომსხმელი საწარმოები, მათ ყველაზე მეტად მოეწონათ ფირმა „სამების" საწარმოები, მათი ტექნიკური აღჭურვილობა, ტექნოლოგიური პროცესები და სპეციალისტთა მომზადების დონე.

ქართულ მეღვინეობაში ამ და სხვა მიღწევათა გამო არგენტინელებმა თანამშრომლობა შემოგვთავაზეს, ზოგადად გაგვაცნეს საკუთარი მიღწევები და თავიანთთან მიგვიწვიეს.

ასე და ამგვარად, ახლა უკვე შეიძლება ითქვას, გაიდო მეტად სასარგებლო და საიმედო ხიდი საქართველოსა და არგენტინელ მეღვინეთა შორის. ძირითადად კი მენდოსელ კოლეგებთან, „იმაას" ასოციაციასთან ვითანამშრომლებთ.

— რას ითვალისწინებს ამ ურთიერთობის პროგრამა. წაადგება იგი თუ არა რესპუბლიკის ეკონომიკას და საერთოდ, რას მოგვცემს ეს კონტაქტები. არგენტინაში 22 პროვინციაა და ურთიერთობა რატომ მაინცდამაინც მენდოსელებთან დაამყარეთ?

— ჯერ ერთი, ქართული ღვინოების წარდგენის ღონისძიებაში, მოსკოვში, ამ პროვინციის მეღვინეები მონაწილეობდნენ და შემდგომში ჩვენს რესპუბლიკას თითქმის იგივე შემადგენლობა ეწვია, ხოლო ერთიც და მეორეც, ალბათ, იმან განაპირობა, რომ მენდოსაში თავმოყრილია ქვეყანაში გაშენებული ვენახების 70 პროცენტზე მეტი. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ არგენტინაში მთლიანად 300 ათასი ჰექტარი ვენახი აქვთ გაშენებული და ყოველწლიურად 3,5-3,7 მილიონ ტონა ყურძენს კრეფენ. ჰექტრის საშუალო მოსავლიანობა 12 ტონაზე მეტია. არგენტინაში აწარმოებენ 280 მილიონ დეკალიტრამდე სხვადასხვა სახის ღვინოს. აქედან 10 მილიონი დეკალიტრი საექსპორტოა და ბოთლებში 1,5 მილიონი დეკალიტრის ჩამოსხმა ხდება, დანარჩენს კი სხვა ჭურჭლით გზავნიან.

რაც შეეხება ვენახებს, იქ ვაზი სულ სხვაგვარად არის ფორმირებული. აგერ, ამ ფოტოზე აღბეჭდეთ მათი ვენახი.

— ერთი შეხედვით, თალარს ანუ მაღლარს მოგვაგონებს.

— კი ჰგავს, მაგრამ იქ მთელი მასივები ასეა გაშენებული და მიღებულ პროდუქციას 1500-მდე ღვინის ქარხანა ამუშავებს. ჩვენ მხოლოდ ათის დათვალიერება მოვასწარით. ისინი სხვადასხვა მწარმოებლობისა იყო. ზოგი თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით არის აღჭურვილი, ზოგი კი საკმაოდ მოძველებულია და განახლებას საჭიროებს. ისე რომ, არგენტინის მევენახეობისა და მეღვინეობის საერთო მდგომარეობაზე ერთგვარი შთაბეჭდილება შეგვექმნა, ვინაიდან მენდოსა, როგორც მოგახსენეთ, ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი რაიონია.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო პროდუქციის მაღალმა ხარისხმა. მიგვაჩნია, ხარისხი ძირითადად კარგმა ნედლეულმა და დამხმარე მასალებმა განაპირობა. რა თქმა უნდა, ამ წარმატებაში თავისთავად დიდი როლი შეასრულა თანამედროვე ტექნოლოგიურმა დანადგარებმა და წარმოებაში დასაქმებული მუშა-ხელისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მაღალმა კულტურამ, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობამ.

— არგენტინული ღვინოები ქართულისგან განსხვავდება ალკოჰოლის მაღალი შემცველობით, ნაკლები მჟავიანობით, სურნელებით და მეტი ექსტრაქტულობით. ამ უპირატესობაში, მეცნიერულ საფუძვლებს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ბუნების დიდი წყალობაც არის...

— ცნობილია, რომ ვენახები აქ ძირითადად გაშენებულია ანდების მთისწინა რაიონების მშრალ, სუბტროპიკულ ზონაში. ეს ადგილები ძალიან ხელსაყრელია მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის. ამდენად, ესეც არის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა იმისა, რომ დღეს არგენტინა ყურძნის მოსავლიანობით გამოირჩევა მსოფლიოში.

— თქვენს ნათქვამს იმასაც დავუმატებ, რომ ასეთი კლიმატი განაპირობებს გადასამუშავებელ ყურძენში შაქრიანობის 20-25 პროცენტს, რაც პროდუქციაზე მეტად კეთილ გავლენას ახდენს.

გამოშვებული ღვინოებიდან თეთრი 60 პროცენტია, წითელი და ვარდისფერი კი 40. აქ ფართოდაა დანერგილი აგრეთვე ღვინის დავარგების მეთოდები. დახანება 2-5 წლის მანძილზე ბოთლებში ხდება. ეს მეთოდი ახლა „სამების" საწარმოებშიც ინერგება.

არგენტინული ღვინოების ძირითადი მომხმარებელია სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, ავსტრალია და სხვა ქვეყნები.

გულახდილად რომ ვთქვათ, არგენტინელი და ქართველი მეღვინეები ერთმანეთს ვერაფრით ვერ გავაკვირვებთ. ჩვენი თანამშრომლობა ძირითადად იმან განაპირობა, რომ არგენტინა, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკა, საჭიროებს თავისუფალ, კონვერტირებულ ვალუტას, ორივე ვეძებთ საამისო გზებს და ამდენად შევთანხმდით პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო დანადგარებისა და, რაც მთავარია, იდეების ურთიერთგაცვლით ავაშენოთ ერთობლივი საწარმოები როგორც საქართველოში, ისე არგენტინაში და ახალი ერთობლივი პროდუქციის გამოშვებით შევუქმნათ მყარი ბაზა ფართო საერთაშორისო ბაზარზე გასვლას. ეს სრულ რეალობად გვეჩვენა მას შემდეგ, როცა არგენტინის მევენახეობისა და მეღვინეობის ეროვნულ ინსტიტუტს და იმ საწარმოთა სამუშაო პროცესებს გავეცანით, რომლებიც უშვებენ ტექნოლოგიურ დანადგარებს და მოწყობილობას გადამამუშავებელი მრეწველობისათვის — ღვინისა და საკონსერვო ქარხნებისათვის, აგრეთვე კოოპერაციული საწარმოებისათვის...

ასე და ამგვარად, ხელი მოვაწერეთ განზრახვის ოქმს, რომელიც ითვალისწინებს ოთხი ერთობლივი საწარმოს მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების დამუშავებას.

ამთავითვე მოგახსენებთ, რომ ამ საწარმოთა რაობაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით, რადგან მუშაობა ამ მიმართებით ახლახან დაიწყო და ჯერჯერობით მხოლოდ მოსამზადებელ პროცესშია. ერთს კი აღვნიშნავთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მარტო ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გამოშვებით არ შემოიფარგლება. ურთიერთობის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა მიზნებს ემსახურება.

— იქნებ ერთი საწარმოს კონკრეტულ მაგალითზე მაინც გვესაუბრათ?

— ...ჩვენი მეგობრის, „იმაას" ასოციაციაში შედის წარმოება, რომელიც ამზადებს იმ მარკისა და ხარისხის მუყაოს ფილტრებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში არ მზადდება. არადა, ქვეყანაში ღვინისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება უამისოდ წარმოუდგენელია. იძულებული ვართ, (სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიც) ეს ფილტრები დასავლეთის ქვეყნებიდან შემოვიტანოთ, რისთვისაც დიდძალი ვალუტა იხარჯება.

არგენტინელებთან, სათანადო მოლაპარაკების შედეგად, შევთანხმდით, რომ ამ პროდუქციას ერთობლივი საწარმოთი გამოვუშვებთ. იგი ზუგდიდის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატის ბაზაზე შეიქმნება და საკითხის წარმატებით გადაწყვეტის შემდეგ ჩვენს გადამამუშავებელ მრეწველობას მუყაოს ფილტრებით მთლიანად დააკმაყოფილებს და ისიც მოხდება, რომ ამ პროდუქციით, სხვა ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის ვალუტას მიიღებს არგენტინაც.

ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით. ერთი კი მტკიცედ გვწამს, რომ ასეთი ერთობლივი საწარმოები ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იქნება. ასეთი მეცადინეობით საგრძნობლად დაწინაურდება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა.

ობიექტური არ ვიქნები, თუ აქვე იმასაც არ ვიტყვი, რომ ამ ეროვნულ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ფირმა „სამების" ხელმძღვანელობას. მათი აქტიური საქმიანობის წყალობით დამყარდა პირველი კონტაქტები და დასახული გეგმების ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა ძირითადად მათს მხრებზე გადავა.

— თქვენ წეღან არგენტინის მევენახეობისა და მეღვინეობის ეროვნული ინსტიტუტი ახსენეთ. ხაზი გაუსვით აგრეთვე კოოპერაციულ საწარმოებს. ორიოდ სიტყვით ხომ არ მოგვიყვებოდით მათს ფუნქციებსა და საქმიანობაზე, თუ ჰგვანან რაიმეთი ჩვენსას.

— ეს ინსტიტუტი მენდოსაშია. იგი მთავრობის ეგიდით ქვეყანაში ახორციელებს ნედლეულის ბაზის დაცვისა და განვითარების საქმიანობას, ახორციელებს ღვინო-პროდუქციის წარმოებისა და როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას. ინსტიტუტს აქვს 13 ფილიალი, 26 განყოფილება და 10 ლაბორატორია, რომლებიც განლაგებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებითა და საზომ-საწონი ხელსაწყოებით. ეს აღჭურვილობა საშუალებას იძლევა, შეუცდომლად გაკეთდეს პროდუქციის ხარისხის კონტროლის ფართო ანალიზები და კვლევითი სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ ღვინოპროდუქციის სარეალიზაციოდ მხოლოდ ინსტიტუტს აქვს უფლება გასცეს სერთიფიკატი. ამავე დროს იგი ინსპექციას უწევს მთელ პროცესს ტექნოლოგიით დაწყებული და ვაზის სელექციის სამუშაოებით დამთავრებული. ეგ კი არა და ინსტიტუტის უნებართვოდ ღვინის ბოთლების დახუფვაც კი არ ხდება; მისივე მეშვეობით წარმოებს პროდუქციის ტრანსპორტირება და გასაღება. ინსტიტუტი ინტენსიურად ეწევა აგრეთვე სამეცნიერ-კვლევით სამუშაოებს, რომელთა მიზანია მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარება. ამასთანავე მისი ყურადღების ცენტრშია ტექნოლოგიის, ტექნიკისა და ეკონომიკის საკითხები. იგი მკაცრ კონტროლს უწევს სახელმწიფო და კერძო სექტორების საქმიანობას.

ამრიგად, მევენახეობისა და მეღვინეობის ეროვნული ინსტიტუტი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია დარგის აწმყოსა და მომავლისათვის. ჩვენი მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს კი სრულიად სხვა ფუნქციები აკისრია.

— არადა სასურველია, რომ ჩვენს ინსტიტუტსაც იგივე უფლებები ჰქონდეს ან საქართველოს მევენახეობასა და მეღვინეობას ერთი მეთვალყურე, ერთი პატრონი ჰყავდეს...

— ეს ძალზე რთული პრობლემაა და იგი დაკავშირებულია სოციალურ და ორგანიზაციულ პრინციპებთან. მაგალითად, არგენტინაში ვენახები და მეღვინეობის საწარმოები თითქმის მთლიანად კერძო სექტორშია, ამიტომ გამოცდილების პირდაპირ გადმოღება ეფექტს არ მოგვცემს. ჩვენი სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნასთან და საიჯარო მეთოდების ფართო დანერგვასთან ერთად შეიძლება დადგეს ამ მხრივ არგენტინული გამოცდილების გამოყენების საკითხი.

ისე კი ბევრი რამ არის მისაბაძი, ბევრია საინტერესო და მისაღები ჩვენი რესპუბლიკისათვის. განსაკუთრებით დღეს, როცა თვითონ ცხოვრება გვკარნახებს მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მართვის გარდაქმნის აუცილებლობას, როცა მარტის პლენუმმა ამ სფეროს შემდგომი განვითარებისათვის მთელი რიგი ამოცანები და ღონისძიებანი დასახა.

არგენტინაში ჩვენი დელეგაცია ყურადღებით გაეცნო მეღვინეობის კოოპერატივ „ლიბერდადორს", ეს ქართულად „განმათავისუფლებელს" ნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ უკვე 30 წელია სახელმწიფო დიდად ეხმარება მცირე მწარმოებლებს, ყოველნაირად უწყობს ხელს, რომ ისინი კოოპერატივებში გაერთიანდნენ. ეს დახმარება იმით გამოიხატება, რომ ხუთი წლის მანძილზე, დღიდან დაარსებისა, სახელმწიფო ათავისუფლებს მათ ყველა გადასახადიდან. კოოპერატივი აშენებს ქარხანას და იძენს დანადგარებს მეპაიეობის სახსრებით. მეპაიეს უფლება აქვს გამოვიდეს კოოპერატივიდან ნებისმიერ დროს, მაგრამ დაბანდებულ ფულს მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ მიიღებს და ისიც ნაწილ-ნაწილ, ამავე პერიოდის მანძილზე.

მეპაიეები ვალდებული არიან მოწეული ყურძენი მხოლოდ თავის კოოპერატივს ჩააბარონ. გაერთიანების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია კანონისა და სახელმწიფოს წინაშე. ხელმძღვანელის საქმიანობას კი კონტროლს უწევს კოოპერატივის იურისტი...

მარტო მიმდინარე წლის დამდეგს მენდოსას პროვინციაში 20 ახალი კოოპერაციული გაერთიანება შეიქმნა და ეს მოძრაობა ქვეყანაში ფართოდ ვითარდება.

— ნიშანდობლივია, რომ საქართველოს და მენდოსას ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და არგენტინას შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების თხუთმეტ წლისთავს დაემთხვა. მოგეხსენებათ ეს აქტი 1974 წელს განხორციელდა. ამდენად უფრო მკვიდრი და სასარგებლო უნდა იყოს ქართველებისა და მენდოსელების მეგობრობა. გაქვთ იმის იმედი, რომ არგენტინელები და ქართველები შეეწყობიან ერთმანეთს?

— როგორც ცნობილია, არგენტინის ფართობი 2,8 მილიონი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა კი დაახლოებით 30 მილიონი. ძალზე ლამაზი ქვეყანაა, განუმეორებელია მისი ბუნება. ასევე ლამაზი და კეთილია მისი ხალხიც. იქნებ იუცხოოთ, მაგრამ ძალზე ჰგვანან ქართველებს გამრჯეობით, სტუმარ-მასპინძლობით, ტრადიციების ერთგულებითა და პატივისცემით. ნებისმიერ კოლექტივსა და საწარმოში, სადაც კი ვყოფილვართ, თბილი, კეთილი გულით გვხვდებოდნენ. ყველა, როგორც ერთი, ამჟღავნებდა საქართველოს ახლოს გაცნობისა და კონტაქტების დამყარების დიდ სურვილს, მაგალითად, მევენახეობისა და მეღვინეობის ეროვნული ინსტიტუტის წარმომადგენლები ძალზე გულთბილად გამოეხმაურნენ წინადადებას და მხარი დაუჭირეს ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით სპეციალისტთა დელეგაციების გაცვლის საკითხს. ისე, რომ ახლა სიტყვა ჩვენს სპეციალისტებზეა.

არგენტინელებმა აღფრთოვანებით მიიღეს აგრეთვე წინადადება ქალაქების სან-რაფაელისა და საგარეჯოს დაძმობილების თაობაზე. მათ საგარეჯოში გამოგზავნეს ოფიციალური წერილი, რომლითაც გვთავაზობენ კავშირის დამყარებას დაძმობილების დონეზე. წლეულს, ოქტომბრის მიწურულისათვის, სან-რაფაელის ოფიციალური დელეგაცია საგარეჯოს ეწვევა დაძმობილების ხელშეკრულების ოფიციალურად გაფორმების მიზნით.

საამისოდ უკვე „ემზადებიან" ისინი. ჩვენმა მასპინძლებმა ადვილად შეისწავლეს ქართული სიტყვები, რომელთა შორის განსაკუთრებით მოეწონათ და ხშირად იმეორებდნენ სიტყვას — გაუმარჯოს...

ესაუბრა
როლანდ ბასილაშვილი.

მოვლენათა ქრონიკა

მოსკოვის საერთაშორისო სიმპოზიუმზე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით მოსკოვის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი დევიზით: „ბიოლოგიური სტრუქტურების მოლეკულური ორგანიზაცია".

სიმპოზიუმს ესწრებოდა 400 მეცნიერი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან. აქ იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატები პ. მიტჩელი (დიდი ბრიტანეთი), გ. მიხელი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); თანამედროვე მოლეკულური ბიოლოგიის ფუძემდებლები: მ. გრიუნბერგ-მანაგო (საფრანგეთი), ე. კელენ-ბერგერი (შვეიცარია), ვ. უიბერლინგი და ვ. ბლიუნფელდი (ამერიკის შეერთებული შტატები), სსრ კავშირის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. პეტროვი, აკადემიკოსები ა. სპირინი, ვ. სკულაჩოვი და სხვ.

სიმპოზიუმის მუშაობა 8 სექციად იყო დაყოფილი, ერთ-ერთ მათგანს — ბაქტერიოფაგების მოლეკულური ბიოლოგიის სექციას ხელმძღვანელობდა თბილისის გ. ელიავას სახელობის „ბაქტერიოფაგის" ლაბორატორიის გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ი. ანდრიაშვილი. მან უკანასკნელ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „დნმ — სტრუქტურის ალტერნატიული ტიპები ბინარული სიმეტრიის ფაგებში".

მოხსენების შემდეგ ქართველმა მეცნიერმა (ის თავმჯდომარეობდა სიმპოზიუმის ბოლო სხდომას) გაიხსენა თბილისში 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპული მათი კოლეგა, მეცნიერ მუშაკი, ქალბატონი თამარ მამულაშვილი.

სიმპოზიუმის დახურვის შემდეგ ი. ანდრიაშვილს შეხვდა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. უიბერლინგი, რომელმაც აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ მომხდარი ამბების სრული ინფორმაცია და ამიტომ ამერიკაში დაბრუნებისთანავე ეცდება ამერიკელ მეცნიერებს, ფართო საზოგადოებრიობას ამცნოს სრული სიმართლე.

დავით მაჭავარიანი.

▲▲

ახალი სამედიცინო კერები

ხელვაჩაური. („კომუნისტის" საკ. კორ.). თხილნარელი პაციენტი წინათ საკონსულტაციოდ რაიონულ საავადმყოფოში უნდა წასულიყო, 15 კილომეტრი გაევლო. და აი, შარშან რაიონის სამედიცინო კერები 9 ექიმით შეივსო. ახლა თხილნარში თერაპევტი კი არა, გინეკოლოგიც ჰყავთ.

ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა გონიოს უბნის საავადმყოფო. ახალშენის საბჭოთა მეურნეობისა და სალიბაურის აგროსამრეწველო კომბინატის ტერიტორიაზე გაიხსნა სასოფლო ამბულატორიები. სამედიცინო კერების ეფექტურობა აამაღლა ახალმა სამედიცინო აპარატურამ.

რაიონის ცენტრთან შენდება რესპუბლიკური საავადმყოფოს კომპლექსი.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 22-27, მთაში 21-26, მაღალმთიანეთში 15-20 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 28-33, მთაში 24-29, მაღალმთიანეთში 21-26 გრადუსი.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, საღამოს და ღამით ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — 31-33 გრადუსი.

სპორტი

როდის დადგება ქართული კეტბურთის ხანა?

თითქმის სამი წელია, რაც საქართველოში სპორტის ახალი სახეობა გამოჩნდა, რომელიც კეტბურთად მოინათლა. დღეისათვის საბჭოთა კავშირში 50-მდე კეტბურთის კლუბია. ჩვენი რესპუბლიკა ამ თამაშის ერთ-ერთი პიონერია საბჭოეთში.

ჩვენი თხოვნით გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა ევროპის სამოყვარულო კეტბურთის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, კეტბურთის, სოფტბოლისა, და რუსული ჩოგანბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს რამაზ გოგლიძეს.

— მოდით, ამერიკული „ბეისბოლის" ქართული სახელით — კეტბურთით დავიწყოთ. ბევრს, „კეტბურთი" არ მოსწონს. თქვენ?

— არა მგონია, ახლა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, თუ ვის რომელი სახელწოდება მეტად მოსწონს. მთავარია ახალი გამოგონილი სახელებით არ დავანაგვიანოთ ჩვენი ქართული ენა. თუ გავიხსენებთ, როცა „ფუტბოლს" „ფეხბურთი" დაერქვა, ბევრს არც ეს მოსწონდა. მაგრამ დრომ გამოაჩინა, ვინ არის მართალი. ვფიქრობ, რომ ამჯერადაც ასე იქნება. რაც შეეხება თავად ტერმინს, სახელწოდებას, მთლად ზუსტი თარგმანი არ არის. უფრო მისადაგებული, აზრობრივია, მაგრამ, ეტყობა, ენის სპეციალისტებმა და სპორტის ქართველ გულშემატკივართა უმეტესობამ უკეთ იცის, რა თქმა უნდა, სჯობს (თუ ქართული ენის სიწმინდისა და პატივისცემისათვის ვიბრძვით) საკუთარ, ქართულ ტერმინს ვნერგავდეთ. ახლა ჩვენ, მოვალენი ვართ არ „დავჩაგროთ" მანდილოსნები, ამიტომ მათთვის ვნერგავთ კეტბურთის ნაირსახეობას — სოფტბოლს, რომელიც ძალზე პოპულარულია. მოდით, ამ თამაშის ქართული დასახელების შერჩევა ჩვენს გოგონებს მივანდოთ.

— გვითხარით, თქვენი აზრით, როდის დადგება ნამდვილი ქართული კეტბურთის ხანა? ჩვენი კეტბურთელები ხშირად მოგზაურობენ — ძირითადად — უცხოეთში, საქართველოში რეგულარულად ჩამოდიან ამერიკელთა გუნდები, მაგრამ ხელშესახები შედეგები არა ჩანს.

— რა თქმა უნდა, ეს ვიზიტები ძალზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია, მაგრამ ეს, ცხადია, ვერ შეცვლის რეალურ სპორტულ მიღწევებს, რომლებსაც გულშემატკივარი ელოდება. სხვათა შორის არცთუ ურიგოდ გამოდის საქართველოს ნაკრები IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე. ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ სამი წელიწადი ძალზე მცირე დროა. ამ დროში, ალბათ, მხოლოდ ის შეიძლება, რომ გაიგო და შეისწავლო ეს სახეობა — ესეც თავისთავად ცოტას როდი ნიშნავს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ იხარჯება სახელმწიფოს, ხალხის ფული, ამას კი თავისებური კომპენსაცია სჭირდება. მთავარი სადღეისო ამოცანა ის არის, რომ ქართველი სპორტსმენები ქვეყნის ნაკრებში მოხვდნენ. ნაკრები კი — ბარსელონის ოლიმპიურ ასპარეზობაზე, ამისათვის საჭიროა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორთა შორის მოხვედრა. თეორიულად ეს შესაძლებელია, პრაქტიკულად კი ძალზე ძნელია.

— დღეს საქართველოში კეტბურთის პოპულარობის ზრდის ტემპი ბევრად უსწრებს სპორტული ოსტატობის ზრდას, სპორტული ბაზების მშენებლობას. სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშის მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე საამისო შესაძლებლობები.

— ...და მაინც, ამ თამაშის პოპულარობის სფეროში მიღწეულზე შეჩერება არ შეიძლება. არავის არ უნდა ჩამოვრჩეთ, მთელი მსოფლიო კეტბურთს თამაშობს. უფრო ფართოდ უნდა ვიზიდავდეთ მოსწავლეებს. თბილისში რამდენიმე სკოლასთან მოეწყობა კეტბურთის მოედნები — გლდანის რაიონში, დიდ დიღომში. „თბილისმთავარმშენმა" იკისრა საკლუბო სტადიონების მშენებლობა. და უკვე პირველი სექტემბრისათვის რამდენიმე მათგანი მზად იქნება. პიონერულ ქალაქ „მზიურში" ხიდების მშენებლობის საკავშირო ტრესტი აშენებს სტადიონს.

საქართველოს კეტბურთის ფედერაციამ დაამუშავა და უსასყიდლოდ ავრცელებს მოედნის ტიპობრივ პროექტს. ალბათ, მალე მოედნები გაჩნდება ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, წყალტუბოში, ერთი სიტყვით, მთელ რესპუბლიკაში. საინტერესოა თბილისის საქარხნო რაიონის ახალგაზრდობის განზრახვა; შენდება კეტბურთის სპორტული სკოლა თავისი სტადიონით და სავარჯიშო მოედნებით.

კეტბურთს არა მხოლოდ თაყვანისმცემლები გამოუჩნდა, არამედ სპონსორებიც და საქმიანი ხელმძღვანელებიც. ძალიან ბევრს აკეთებს ჩვენში კეტბურთის დასამკვიდრებლად საქართველოს კეტბურთის ფედერაცია (თავმჯდომარე — ზურა ღუღუნიშვილი), მცხეთის საწარმოო გაერთიანება „თოლია" (დირექტორი — თ. ხუნწარიძე), თბილისის საკონდიტრო გაერთიანება (დირექტორი — ვ. ცაგარეიშვილი), მთავარხიდმშენის № 12 ტრესტი (მმართველი — გ. ჩიღვარია). სპონსორები საზღვარგარეთაც მოიძებნა. ისეთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ბიზნესმენი და მრეწველი, როგორიც რობერტ შმიდტია, კაცი, რომლის გავლენა თეთრ სახლზეც კი ვრცელდება, წლეულს სექტემბერში გუნდს ჩამოიყვანს ჩვენთან. შმიდტს სურს ხელი შეუწყოს ჩვენში კეტბურთის პროპაგანდას, მის გავრცელებას. სახსრები გაიღოს სტადიონის მშენებლობისათვის, სპორტსმენთა აღჭურვილობისათვის, უცხო სპონსორთა შორისაა აგრეთვე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საკეტბურთო კლუბის „ლოსანჯელეს დოდჯერსის". მფლობელი და პრეზიდენტი პიტერ ომელი, რომელიც ე. წ. „ლითლლიგის" — ბავშვთა ლიგის — პრეზიდენტთან, დოქტორ კრეიტონ ჰეილთან ერთად სტადიონის ასაშენებლად ვალუტას გვთავაზობს.

— სრულიად შემთხვევით, მე იმაზე მეტი ვიცი, რასაც თქვენ ახლა მიამბობთ, პიტერო'მელს, კრეიტონ ჰეილსა და თქვენს შორის არის მიმოწერა, რომელშიც იგი გთავაზობთ სტადიონის აშენებას მოსკოვში, თქვენ კი დაჟინებით ურჩევთ თბილისს და ბოლოს და ბოლოს ის გეთანხმებათ... გაძლევენ 250.000 დოლარს, ჯერჯერობით!

— არა აქვს მნიშვნელობა, როგორ მივაღწიეთ ამას, მთავარია შედეგი, და ის ჭეშმარიტება, რომ თბილისი შესანიშნავი ქალაქია ყველაფერთან ერთად კეტბურთის განვითარებისთვისაც.

— ეს იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ უკვე რეალური ძალაუფლება გიპყრიათ კეტბურთის სამყაროში — თქვენ ხომ ევროპის სამოყვარულო კონფედერაციის ვიცეპრეზიდენტი და საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე ბრძანდებით, თქვენ გიცნობენ...

თუ შეიძლება, გვითხარით, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საქართველოს წარმომადგენლობა კეტბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებში? აქვე, როგორც საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წევრს, მინდა მოგმართოთ: როგორ აფასებთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში საქართველოს დამოუკიდებლად შესვლის შანსებს?

— ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერი ქვეყნის განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებს. უწინარესად აუცილებელია, რომ ქვეყანა ან რესპუბლიკა ყველა თვალსაზრისით — პოლიტიკურად, ეკონომიკურად სუვერენული იყოს. ფაქტობრივად იგივე არგუმენტებია საჭირო საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში, ასოციაციებსა და კონფედერაციებში გასაერთიანებლად. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით საკითხი არასოდეს წამოჭრილა, არ დაგვიყენებია, და თუ ასე მოხდება, ჩვენც გადავდგამთ პირველ ნაბიჯებს. დარწმუნებული ვარ, რომ არა მარტო პირადად მე, არამედ ყველა, ვისაც ეს საქმე ეხება, ყველაფერს იღონებს რეალური პრაქტიკული შედეგების მისაღწევად. ჩვენი ავტორიტეტის (მათ შორის — სპორტის სფეროში) ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის გამართვა ბაკურიანში, მაგრამ ეს საკითხი დადებითად რომ გადაიჭრას, უდიდესი ძალისხმევა გვმართებს. როგორც იცით, ქვეყნის შიგნით ბაკურიანს ორი კონკურენტი ჰყავს — ალმა-ათა და სოჭი. დღეისათვის სპეციალისტთა უმეტესობა უპირატესობას ბაკურიანს ანიჭებს. აგვისტოს პირველ რიცხვებში საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი განიხილავს თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატურებს და აქ გამარჯვება იოლი არ იქნება. თუ საკითხი ბაკურიანის სასარგებლოდ გადაწყდა, შემდეგ უკვე ბრძოლა გაგრძელდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დონეზე.

— თქვენ ისაუბრეთ კეტბურთის მომხრეებზე, მაგრამ ამ სახეობას, ალბათ, მოწინააღმდეგეებიც ჰყავს.

— სამწუხაროდ, ასეა. ზოგიერთები (ძირითადად სპორტისაგან შორს მდგარი ხალხი) კეტბურთის წინააღმდეგ გამოდიან. მათი აზრით, საბჭოთა კავშირში, ცალკეულ რესპუბლიკებში კეტბურთის განვითარება შეზღუდავს სპორტის სხვა, მათ შორის ეროვნულ სახეობებს. ჯერჯერობით ვერ დავძლიეთ ბიუროკრატიული ბარიერები და ადგილზე ვერ ვაწარმოებთ კეტბურთისათვის აუცილებელ ინვენტარ-საჭურველს.

შეიძლება თუ არა უკეტბურთოდ არსებობა? რა თქმა უნდა, შეიძლება. მაგრამ რატომ უნდა ჩამოვრჩეთ მთელ მსოფლიოს, რომელიც იაპონიიდან ამერიკამდე კეტბურთს თამაშობს? კეტბურთი გვეხმარება არა მარტო ხალხების, არამედ თაობათა დაახლოებაშიც — მას დიდ-პატარა გულშემატკივრობს. სულ მოკლე დროში კეტბურთის მეშვეობით არაერთი მეგობარი შევიძინეთ, საქმიანი კონტაქტები გავაფორმეთ.. ჩემი აზრით, ხელიდან არ უნდა გავუშვათ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ასეთი კარგი შესაძლებლობა, ჩვენი ახალგაზრდების მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩინების საშუალება.

ესაუბრა
პეპი ბოჭორიშვილი.

ახალგაზრდულ ასპარეზობაზე

მეორე უმაღლესი ჯილდო დაისაკუთრა ნინო სალუქვაძემ. იგი პირველი იყო ტყვიის სროლაში. ნინო ლიდერობდა პნევმატური პისტოლეტით სროლაშიც, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების სხვა წარმომადგენლებმა მას მხარი ვერ აუბეს და გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მსროლელები მე-12 ადგილზე გამოვიდნენ.

კიდევ ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს ქართველმა ძალოსნებმა, როცა კობა ტალახაძემ 110 კილოგრამზე მეტ წონით კატეგორიაში მეორე შედეგი აჩვენა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეათე ადგილზეა.

მერვე ადგილზე არიან ჩვენი ხელბურთელი ჭაბუკები, გოგონათა გუნდი კი მე-12 ადგილს დასჯერდა.

საკავშირო ასპარეზობაზე ასე ცუდად დიდი ხანია არ გამოსულა საქართველოს ნაკრები მხატვრულ ტანვარჯიშში. ჩვენმა გოგონებმა თავი ვერ გამოიჩინეს ვერც პირად და ვერც გუნდურ პაექრობაში და საბოლოოდ მე-12 ადგილს დასჯერდნენ.

ბრინჯაოს მედლები გახდა ფეხბურთელთა ასპარეზობაზე ჩვენი გუნდის ნადავლი (მესამე ადგილისათვის ბრძოლაში მან ბელორუსიის გუნდი დაამარცხა — 3:1).

ჯერჯერობით საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეექვსე ადგილზეა.

კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია — 2000 მანეთის ოდენობით.

იგი მიენიჭება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სტამბური წესით გამოქვეყნებული საუკეთესო ინდივიდუალური ან კოლექტიური მეცნიერული გამოკვლევისა ან მონოგრაფიისათვის.

შრომების წარმოდგენა შეუძლიათ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებს, მეცნიერთა ჯგუფებს ან ცალკეულ მეცნიერებს, გარდა ავტორებისა.

წარმომდგენმა ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკონკურსოდ ნაშრომი უნდა წარმოადგინონ სამ ცალად, თან უნდა ერთვოდეს დახასიათება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ შეფასებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის.

საკონკურსო მასალები წარედგინება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის ორგანიზაციისა და დანერგვის განყოფილებას მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, № 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი № 2, ტელეფონი 22-94-57.

სატურნირო ორბიტა

● **ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატის აზიის შესარჩევ ჯგუფში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი. ირანელებმა მიიღეს ჩინეთის ნაკრები და დაამარცხეს ანგარიშით 3:2. დღეისათვის ამ ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ირანი — 10 ქულა (12 შესაძლებლიდან), ჩინეთი — 8 (10-დან), ბანგლადეში — 2 (12-დან), ტაილანდი — 2 (10-დან).

გდრ-ის ქალაქ გერაში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების იუნიორ ფეხბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობა". სსრ კავშირის ნაკრებმა ფინალში დაამარცხა პოლონელთა გუნდი ანგარიშით 1:0 და პირველ ადგილს დაეუფლა.

28 ივლისს მოსკოვში მიიღეს სსრ კავშირის ფეხბურთის ლიგების პროფესიული კავშირის წესდება. კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ პონედელნიკი.

● **ძიუდო.** კურსკში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე სხვა საბჭოთა ძიუდოისტებთან ერთად თავი ისახელა ქუთაისელმა ფალავანმა აკაკი კიბორძალიძემ. იგი მძიმე წონაშიც და აბსოლუტურ კატეგორიაშიც უძლიერესი იყო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — სამშაბათი, 25 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 16.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ზოოპარკს ესიზმრება". 17.40 — მოსწავლეთათვის. ჯადოსნური საღებავი". 18.00 — გოგონების საესტრადო კამერული ანსამბლი „ნანა". 18.25 — მოამბე. 19.00 — ეროვნებათშორისი ურთიერთობა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო" — ვოლგოგრადის „როტორი". 21.45 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „კინოს სამყაროში".

მეორე პროგრამა. 16.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლელოს შემობრუნება". 17.10 — მხატვრული ფილმი „მოეფერე კატას". 18.25 — მოამბე. 19.00 — მხატვრული ფილმი „სამი ბლენძი". 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „აქედანა და შენამდე". 22.00 — „ვრემია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმი. 10.55 — ვ. აზარნიკოვი. „საიუბილეო ტანგო". ტელესპექტაკლი. 10.55 — „ეს იყო... იყო...". 11.15 — ადამიანი და კანონი. 12.45 — კონცერტი. 16.35 — კუბური მხატვრული ტელეფილმი „სიყვარული ამ ასაკში". I სერია. 17.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 17.55 — ხალხური მელოდიები. 18.10 — „კატა ლეოპოლდის თავგადასავალი". მულტფილმი. IV სერია. 18.20 — კუბის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის გამო. კუბის ტელევიზიის პროგრამა. 19.00 — საერთაშორისო ურთიერთობა. ისტორიული გამოცდილება და პრობლემები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — უსაფრთხო მოძრაობა. 20.30 — მხატვრული ტელეფილმი „თავისუფალი მსროლელი „ბერლინში" (გდრ) 22.00 — „ვრემია". 22.40 — ფეხბურთი. მინსკის „დინამო" — „დნეპრი". მე-2 ტაიმი. 23.30 — დოკუმენტური ფილმი „ვიქტორ ასტაფიევი. დავრჩი უპასუხოდ". 0.35 — დღეს მსოფლიოში. 0.50 — ვ. მატვეევას სიმღერებს ასრულებს გ. ხომჩიკი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.55 — ფილმ-კონცერტი. 10.25 — მულტფილმები პ. ბაჟოვის ზღაპრების მიხედვით. 10.55 და 13.25 — ფრანგული ენა. 11.25 — რიტმული ტანვარჯიშში. 12.00; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.10 — მხატვრული ტელეფილმი „შავი ზღვის ტალღები". VI სერია. 14.00 — კინოდანართი გადაცემისა „ახალგაზრდა კინო". 15.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.10 — მხატვრული ტელეფილმი „გილოცავთ ახალ წელს!" სერიიდან „მაიორ ზემანის 30 შემთხვევა". 19.25 — რეკლამა. 19.30 — მულტფილმი. 19.45 — რიტმული ტანვარჯიშში. 20.15 — ჩვენი ფონდებიდან. დრეზდენის შტაატსკაპელის კონცერტი. დირიჟორი — ხ. ფონკი. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო"! 21.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „მოგილოცავთ ახალ წელს"! 23.55 — ახალი ამბები. 00.5— ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 10448 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, [illegible] ოფსეტური წესით. საგაზეთო [illegible], [illegible] 29 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14